ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

ქართველოს სახალხო ფრონტი
[ყო]ველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
[გა]მოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 27 (1362)

13-20 აგვისტო, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[ნო]დარ ნათაძე:

## მთავრობა კოალიციური უნდა იყოს



— ბატონო ნოდარ, როგორია თქვენი აზრი [აფხ]აზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ახლახანს [დად]ებულ შეთანხმებაზე?

— არავინ ფიქრობს, რომ შეთანხმება მხოლოდ [სასარგებლ]ოფითია ჩვენთვის ან მხოლოდ დადებითია. ვინც იგი [დადებითად მიიჩნევ]ს, მიაჩნია, რომ იგი პლიუსებს მეტს შეიცავს, ვიდრე [მინუ]სებს. მე მიმაჩნია, რომ მინუსებს მეტს შეიცავს, ვიდრე [პლიუ]სებს. ამასაც ვერ ვიტყვი კატეგორიულად. უფრო [სწორ]ი იქნება: დასაგმობია თვით ის პოლიტიკა, რომელმაც [ეს შ]ეთანხმებამდე მიგვიყვანა წელიწადნახევრის მანძილზე. [უფრ]ო ზუსტად: ორწელიწადნახევრის მანძილზე. ჩიხში არ [უნდ]ა მოვქცეულიყავით, თორემ როცა ჩიხში მოექცევი, უკვე იძულებული ხარ, ცუდ შეთანხმებაზე წახვიდე. დავაკონკრეტებ ჩემს აზრს.

[პ]ირველი: რა წავაგეთ შეთანხმებით? ჯერ ერთი, ის, [რომ] არსებითი ვერაფერი მოვიგეთ, ომი არ დამთავრებულა. [მტერ]ი აგრძელებს მზადებას და ამ საქმეში ყოველთვის [ს]ძ[ლ]ევს/[გაიმა]რჯვებს, ვინაიდან მას აქვს ტექნიკურ-მატერიალური [ზურ]გი რუსეთის სახით, ჩვენ კი ზურგად არავინ გვყავს. [უფრ]ო ზუსტად — დღეს მოქმედ ზურგად არავინ გვყავს. [როგო]რც ცნობილია, ამ რამდენიმე დღის წინ ბზიფის

ზონიდან იქ დარჩენილი ქართველი მოსახლეობის მასობრივი დეპორტაცია მოახდინეს — დიდი და პატარა ადლერში გადაიყვანეს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ფაქტობრივად დაასრულეს გუმისთმისგაღმა ზონის ეთნიკური წმენდა. გარდა ამისა, შემოჰყავთ და ასახლებენ თავის მონათესავე ჩერქეზებს. შემოჰყავთ — და თუ არ შემოჰყავთ, ხვალ შემოიყვანენ თურქეთიდან მუჰაჯირების შთამომავლებს. ერთი სიტყვით, აფხაზები თუმცა მცირერიცხოვანნი არიან, ეს მათ დემოგრაფიულ პრობლემას არ უქმნის. რეზერვიც ჰყავთ მუჰაჯირების სახით და ჩერქეზებთან იდენტიფიკაციაც არ უჭირთ. ამგვარად, ჩვენთვის ყველაზე მძიმე პროცესი — დემოგრაფიული პროცესი — გრძელდება.

მეორეც: რუსებთან უკან დახევა სრულებითაც არ ნიშნავს მათ დაშოშმინებას, დროებით მაინც. მოგეხსენებათ, ჩიორამ რომ მელას ერთი ბარტყი გადაუგდო, მელამ იმ წამსვე მეორე მოსთხოვა. რუსი დღეს კატეგორიულად ითხოვს სოხუმში არძინბას შესვლას, რომელიც „კანონიერ ხელისუფლებად" ჰყავს აღიარებული, და მის საყრდენად საკუთარი, რუსული ძალის გამოყენებას ფიქრობს. ეს იმას ნიშნავს, რომ სოხუმს დასაკუთრებას უპირებს და, ცხადია, ისევ ჩერქეზებით, რუსებით და სხვა „ინტერნაციონალით" ათვისებას დემოგრაფიულად.

მესამეც: ამ შეთანხმებით თავის მოქმედების ზონას რუსი ენგურამდე ავრცელებს, ანუ იმ რეგიონსაც ეპატრონება, სადაც ომს არ მიუღწევია. მეოთხე და შესაძლოა მთავარი: უთანასწორო ომი ძლიერ მტერთან (პირდაპირ ვთქვათ: სამამულო ომი) რაზმავს, ამთლიანებს, აჯანმრთელებს. კაპიტულაცია კი პირიქით, — ამძაფრებს ყველა შინაგან წინააღმდეგობას, აცოცხლებს ყველა შინაგან წყლულს, აასკეცებს ყველა თანდაყოლილსა თუ შეძენილ ნაკლოვანებას. მაპატიეთ უხეში შედარება. მოჩხუბარი ძაღლები რომ მგელს დაინახავენ, ჩხუბს წყვეტენ დროებით. ეს სულხან-საბასგან ვიცით. მაგრამ რას იზამენ იგივე ძაღლები, თუ გალიაში ჩაკეტეთ უქმად? ერთმანეთს დაჭამენ. ასეთი გალიაა ერისთვის კაპიტულაცია, დამარცხებულის მდგომარეობა. დღეს განსაკუთრებით დიდი ნებისყოფა და სულიერი დისციპლინა გვმართებს ქართველებს, რათა ერთმანეთს არ ვეცეთ სიძულვილით და სამართლიან ბრალდებებს ერთმანეთის მიმართ (მე ხაზს ვუსვამ: სამართლიან ბრალდებებს, ვინაიდან მოარულ ბრალდებათა ნახევარი მაინც სამართლიანია.) ჩვენი ერის სიცოცხლე არ გადავაყოლოთ. პირდაპირ გეტყვით: დამნაშავის პოვნა და ჩაქოლვა თვითმიზანი არაა, ეს ვერ გვიხსნის. დამნაშავეები დიახაც უნდა ვეძებოთ და ვიპოვოთ, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ მეორედ და მეათედ დანაშაულის ჩადენა ვერ შესძლონ.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

რომან გოცირიძე:

## მე ვიტყვი ჩემს სათქმელს



— ბატონო რომან, თქვენ სახელმწიფოს მართვის გარკვეული გამოცდილება დაგიგროვდათ. ვიცე-პრემიერობა ამ ურთულეს პერიოდში დატვირთვასთან ერთად სერიოზული ცოდნის შეძენის საშუალებაც იყო. თქვენთვის, როგორც სახელმწიფო მოღვაწისათვის. რას იტყოდით მინისტრთა ახალი კაბინეტის ფორმირების შესახებ, რა პრინციპებით უნდა იყოს იგი ჩამოყალიბებული?

— უპირველესად, მე ვიტყოდი, რომ მინისტრთა კაბინეტის გადადგომას ქვეყანა აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა. ის, რაც ცივილიზებულ ქვეყნებში წინასწარი გამსჯის, კონსულტაციების, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ხდება, ჩვენთან მოხდა სტიქიურად და მე ვიტყოდი პოლიტიკური ამბიციების გავლენით. ეს არაფერ კარგს არ მოუტანს საქართველოს. მე არ ვამბობ, რომ ეს ცვლილება არ უნდა მომხდარიყო, თუ. გავითვალისწინებთ იმას, თუ რა პროცესები უძღოდა წინ ხელისუფლებაში ამ მთავრობის მოსვლას, ეს წასვლა გამართლებულიც იყო პროპაგანდისტული თვალსაზრისით. მან, თუ შეიძლება ასე ითქვას, დასძლია ფორმიანი სახე,

(გაგრძელება მე-2 გვ.)

## «მოიცათ, ჩამოვლენ ბიჭები და მერე ნახეთ!..»

[ამ წ]ერილის სათაურში გამოტანი[ლი ფ]რაზა ერთ-ერთ სატელევიზიო [ინფ]ორმაციო გადაცემაში მოვისმი[ნე]. ეხებოდა ამასწინათ მუხიანის [მასივ]ზე რამდენიმე სამხედროფორმი[ანი, შ]ეიარაღებული პირის მიერ აქ [მცხოვრებ]ელთა დაყაჩაღებას, რომლებიც თა[ვიანთ] მსხვერპლთ მუქარით ამასაც [ეუბნებ]ოდნენ თურმე: მოიცათ ჩამოვლენ [ბიჭები] და მერე ნახეთ, რაც მოგივათო. [ამ ჩ]ვეულ ბიჭებში, მკითხველიც [მიხვდ]ებოდა, ომიდან, აფხაზეთიდან ჩამო[სული] მეომრები იგულისხმებიან.

[ს]ატელევიზიო გადაცემაში, ვფიქ[რობ, ს]რულიად სამართლიანად, ეს [ფაქტი] ერთ-ერთი იმ პროვოცირებულ [შემთხვევ]ათა რიგს მიაკუთვნეს, რომლებიც [არც თუ] არა ერთი მომხდარა ჩვენს [ქალაქ]სა თუ რესპუბლიკის სხვადასხვა [რეგიონ]ში და რომელთა მიზანიც, [ალბათ], ქვეყანაში დესტაბილიზაციის კიდევ უფრო გაღრმავება [არის] და რომელთა უკანაც სწორედ [ის ძალ]ები დგანან, ვისაც გარკვეული [ინტერესები] ამოძრავებს და ვინც გარეშე [(ჩრდილოეთის? სხვ]ა[სახელმწიფოებრ]ივი) მტრის მიერ შეკვეთილ [საქმეს ასრულ]ებს.

[ს]ამწუხარო მოვლენებში და მე ვიტყოდი,

უფრო საგანგაშო ის არის, რომ მსგავსი ფაქტები ძალზე მოხშირდა ჩვენში ამ ბოლო ხანს და საქმე უკვე იქამდეც კი მივიდა, რომ დამყაჩაღებელთა და ავტომატური იარაღის „უპრაგონოდ" (შუა ქალაქში) მსროლელთა რიგში არა თუ რიგითი ჯარისკაცები, არამედ თვით მაღალი ჩინის სამხედროებიც კი მოგვევლინენ, რომელთაც ეკისრებათ სწორედ წესრიგის დაცვა სამხედრო რაზმებში და იქ დისციპლინის დამყარება.

რა თქმა უნდა, ყველა თქვენგანს მაშინვე დიღმის მასივში დატრიალებული ტრაგედია გაახსენდება, როცა ასეთი მაღალი ჩინის სამხედროებმა ავტომატის უთავბოლო სროლის შედეგად სამი წლის ბავშვი და გამვლელი მამაკაცი დახვრიტეს, ხოლო იქაურ მცხოვრებთა საპასუხო რეაქციას (ლინჩის წესით გასამართლებას ) ერთ-ერთი სამხედრო

ჩინოსანი შეეწირა. ხოლო ამ რამდენიმე დღის უკან ლილოს ბაზრობას თავს დაესხა თითქმის ას კაცამდე შეიარაღებული პირი და გარდა იმისა, რომ პირწმინდად „მოასუფთავეს" იქაურობა მათი მიერ ატეხილ სროლას ადამიანთა სიცოცხლეც შეეწირა.

სულ ახლა ხანს კი თუ არ ვცდები, ქალაქის საკოლმეურნეო ბაზარში მხედრიონისა და პოლიციის თანამშრომლები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და სისხლიც დაიღვარა, სამწუხაროდ მხოლოდ ამ ფაქტებით არ ამოიწურება მსგავსი შემთხვევების ნუსხა. ასეთი პრეცენდენტები საკმაოდ გვაქვს და თუ ასე გაგრძელდა ავტომატიანთა უთავბოლო სიარული ქალაქში, მერწმუნეთ, მალე ცხვირსაც კი ვერ გამოვყოფთ გარეთ.

ქუჩაში გამოსვლასაც რომ თავი დავანებოთ, ჩემის აზრით, არსებობს

იმის რეალური საფრთხე, რომ თუ ასეთი მახინჯი მოვლენა ( რომელიც თავისი არსით დაკანონებული ბანდიტიზმია) კვლავაც ასეთი ტემპით განვითარდა, მოსახლეობა დაუპირისპირდეს სამხედრო ფორმიანებს და კვლავაც მოხდეს ისეთი ტრაგედია, როგორსაც ადგილი ჰქონდა დიღმის მასივში, ანუ ხელისუფლებისაგან დაუცველმა ხალხმა თვითონ მოაწყოს დამნაშავეთა გასამართლება.

თუ არ ვცდები, სტალინს უთქვამს ოდესღაც: როცა ერთი ადამიანი იღუპება, ტრაგედიააო, როცა მილიონები იღუპებიან, ეს უკვე სტატისტიკა გახლავთო. ჩვენც, ეტყობა ისე მივეჩვიეთ ყოველდღიური მკვლელობების, დაყაჩაღებების, ბანდიტიზმის შესახებ ინფორმაციების გულგრილად მოსმენას, რომ მე მგონი, ჩვენთვისაც სტატისტიკად იქცა ამ შემზარავი დანაშაულობების

შედეგად დაღუპული და დაზარალებული ადამიანების ბედი და როგორც ჩანს, მანამდე არ მივიღებთ ზომებს (ვგულისხმობ ხელისუფალთ), სანამ ჩვენს თაზე არ გამოვცდით ავტომატიანთა დღევანდელი განუითხავი პარპაშის სავალალო შედეგს.

დღეს სათანადო კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლები პრესითა თუ ტელევიზიით გულისტკივილს გამოთქვავენ იმის თაობაზე, რომ წვევამდელები ჯარში სამსახურისგან თავს არიდებენ და დიდის ვაი ვაგლახით გვიხდება მათი კომისარიატში მიყვანაო. მე ვეთანხმები მათ, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი საკმაოდ აპათიურადაა განწყობილი დღევანდელი პრობლემებისადმი და ბევრ მათგანში პატრიოტული გრძნობა მოდუნებულია, მაგრამ იმასაც დავძენ, რომ არცერთი მშობელი არ გაუშვებს შვილს ისეთ ჯარში, სადაც არც დისციპლინაა, არც უფროს-უმცროსობა, არც ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები და რაც მთავარია, სამხედრო ფორმიანთა მიერ ჩადენილმა დანაშაუ-

(გაგრძელება მე-6 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ნათაძე:

# მთავრობა კოალიციური უნდა იყოს

(დასასრული)

ქალის ფსიქოლოგიის კანონი გახლავთ: თუ სახლ-კარი დაგენვათ და ქალმა შეძლო, ეს თქვენ დაგაბრალოთ, იგი უბედურებას უბედურებად აღარ თვლის. პოლიტიკაში ეს დედაკაცური ფსიქოლოგია არ გამოდგება. სახლ-კარი არ უნდა დაგენვათ, თორემ თუ დაგენვათ მერე დამნაშავის პოვნა და დასჯა ვერაფერს გიშველით.

ახლა მეორე, რა მოვიგეთ? პირველ ყოვლისა, ის უნდა აღვნიშნო, რომ შეთანხმების ფსიქოლოგიური მზადებისას მისი მომხრენი ამბობდნენ, რუს სამხედროებთან თბილისში ურთიერთობა გვეუმჯობესდება და ბევრს მოვიგებთო.

• ვერაფერი მოვიგეთ! უდაოდ მოვიგეთ ის, რომ სისხლისღვრა შეწყდა, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ეს შეწყვეტა სამუდამო არ არის და მტერს ამ წუთშესვენების ჩვენზე უკეთ გამოყენების საშუალება აქვს. დიდი მოგებაა ის, რომ რეგიონში გაერო გამოჩნდა და, ამგვარად, დაიწყო ამ ზონაში კაცობრიობის მიერ რუსეთის შეზღუდვის პროცესი, რუსეთის თანხმობის გარეშე გაეროს უჭირს მის ახლომახლო ზონაში ფეხის ჩადგმა, მაგრამ ახლა ვიკითხოთ: მას შემდეგ, რაც უკვე შექმნილი იყო გაეროს დოკუმენტი ჩვენი კონფლიქტის თაობაზე, აუცილებელი იყო მართლაც ჩვენი კაპიტულაცია, რათა გაეროს ეს ომი თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია?

შეთანხმება, რომელსაც საქართველოს პარლამენტის სპიკერის ხელმოწერა აქვს, რუსეთის დიპლომატიის დიდ გამარჯვებად იქცა: მსოფლიომ დაინახა რუსეთი მშვიდობისმყოფელის როლში ორ ბარბაროს აბორიგენს შორის, ისევე, როგორც ეს ცხინვალის ზონაში მოხდა ამ ერთი წლის წინ. ჩვენ ამის სამაგიეროდ რუსეთისგან ვერაფერი მივიღეთ. ჩვენი ხელმოწერა ამ შეთანხმებაზე რუსებმა ვაჭრობის სახით ან კომპრომისის სახით კი არ მიიღეს, არამედ მხოლოდ იძულების გზით. მიიღეს იმიტომ, რომ ომი ვერ მოვიგეთ. მაგრამ ამის თქმით უკვე სხვა პასუხისგების საკითხი დგება: რატომ ვერ მოვიგეთ ეს რუსეთის მხრიდან ძალიან და ძალიან შეზღუდული ომი? რატომ არ გამოვიძიეთ გაგრის დამარცხების მიზეზი ან ტამიშში რუსული დესანტის დროზე ვერ შემჩნევის მიზეზი, თუმცა ვიცოდით, რომ ამ ეპიზოდთა ობიექტური ანალიზი აუცილებელი იყო შემდგომი მოქმედების სწორად წარმართვისათვის? წაგებული ბრძოლისთვის მხედართმთავრები ისჯებიან. ყოველ შემთხვევაში, ბრძოლის ანალიზი მაინც ხდება. ჩვენმა ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა და ნაყოფსაც შესაბამისს ვიმკით.

— ალტერნატივა?

— დიახ, ახლა მთავარ საკითხს მივადექით. ვთქვათ, არ მოვაწერეთ ხელი კაპიტულანტურ შეთანხმებას. რა უნდა გვექნა ან რა უნდა ექნათ მაშინ?

მე რომ ვამბობ, ასე და ასე შეგვეძლია მოვქცეულიყავით-მეთქი ან ასე და ასე შეგვეძლო მოქცეულიყავით-მეთქი, ამით მხოლოდ იმას გამოვხატავ, რომ ალტერნატივა არსებობს. გეტყვით, რაში მდგომარეობს იგი და თქვენ შეაფასეთ. ჩვენ რომ ხელი არ მოგვეწერა ამ შეთანხმებაზე, რუსები, ალბათ, სოხუმს ომით აიღებდნენ და წინაც წამოვიდოდნენ, გინდ ოჩამჩირემდე, ღალიძგამდე და გინდ ენგურამდე, მაგრამ ამჯერად მათ წინსვლა მოუხდებოდათ წმინდა ქართული დასახლების ზონაში. ამით უფრო ძლიერ ჩაებმებოდა ის ერთადერთი ფაქტორი რომელიც მათ უშლის დროშების გაშლას და ჩვენზე ღია ომით წამოსვლას — ის, რომ ჩვენთან ომი მათთვის პოლიტიკურად ძალიან დიდი წაგებაა. ამიტომ მათი წინსვლა მალე შეჩერდებოდა. თუ არ მივცემდით მათი ჯარის ყოფნას აფხაზეთის ტერიტორიაზე იურიდიულ საფუძველს, (რაც შეთანხმებით მივეცით) ჩვენ გვექნებოდა საშუალება მათი ადრე თუ გვიან აფხაზეთიდან გაყვანისა. ერთი მხრივ, პოლიტიკური ზეწოლით, მეორე მხრივ, ისევ იმ ფაქტორის გამოყენებით, რომ ჩვენთან ბრძოლის ველზე შეხვედრა მათთვის უფრო საზიანოა (პოლიტიკურად) ვიდრე ჩვენი ტერიტორიის „დე ფაქტო" დაკავებაა სასარგებლო. მათი გასვლით, რა თქმა უნდა, წყდება ჩვენი პრობლემა ჩვენი მიწა-წყლის სრული დაბრუნების სახით. რა თქმა უნდა, ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ზოგადი მტკიცე პოლიტიკის ბაზაზე რუსეთის მიმართ. ჩვენ შეგვიძლია ძალიან ნაყოფიერად გამოვიყენოთ ის გარემოება, რომ რუსეთის ჯარს ჩვენს ქვეყანაში დგომის არავითარი იურიდიული საფუძველი არა აქვს. ვენის კონვენციის ძალით, რომელსაც ხელს აწერს რუსეთი, ჩვენ უკამათოდ გვეკუთვნის საქართველოში მყოფი რუსის ჯარის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება. ჩვენ შეგვიძლია, ისინი საქართველოდან გავიყვანოთ და არც თუ ხელცარიელნი დავრჩეთ. რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება ამის ნაცვლად? ერთადერთი დოკუმენტი, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებას ოფიციალურად ნათქვამი აქვს რუსეთისათვის, საქართველოდან ჯარი გაიყვანეთო, არის ჩვენი ამჟამინდელი პარლამენტის დადგენილების საფუძველზე ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვა, რაც განხორციელდა დეპუტატთა ერთი მცირე ჯგუფის ინიციატივით და არა ხელისუფლების საერთო კურსის შესაბამისად. არც უზენაესი საბჭოს, რომელმაც დაადგინა, რომ სსრკ-ს ჯარი საქართველოში საოკუპაციო ჯარია, არც დღევანდელ პარლამენტს რუსეთის ხელისუფლებისთვის არ მიუმართავს სხვა რამ ოფიციალური დოკუმენტით, გარდა სამინისტროს ხსენებული დოკუმენტისა. ბუნებრივია, თუ რუსეთს არ მოსთხოვ ჯარის გაყვანას, იგი არაა ვალდებული იცოდეს, რომ მისი ჯარის ყოფნა ჩვენს ქვეყანაში ჩვენთვის სასურველი არაა. ეს უგულებელყოფა ჩვენი იურიდიული შესაძლებლობებისა რუსეთისაგან თავის დაცვაში მე ხელისუფლების მიუტევებელ მინუსად მესახება.

**— კიდევ რა მინუსებს ხედავთ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მუშაობაში?**

— პირდაპირ გეტყვით: ოთხ მთავარ მინუსს. პირველი: ეკონომიკა დანგრეულია ხელოვნურად. გაჭირვებისთვის ობიექტური პირობები გვაქვს, მაგრამ ამ ხარისხის გაღატაკებისათვის, პირობები არ კმარა. ადგილი აქვს ეკონომიკის შეგნებულ ნგრევას, რათა ხალხმა თქვას: აღარ გვინდა თავისუფლება, აღარ გვინდა არაფერი სხვა, გარდა შიმშილისგან გადარჩენისა. ჩავუვარდეთ ფეხებში რუსეთს და შავი პურის ლუკმა მივიღოთო. მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოში ასეთი გაჭირვება არ ყოფილა. მე შემიძლია ჩემი აზრი ციფრებით დაგისაბუთოთ, თუ იგი ვინმესთვის სადაო გახდა. მეორე: ჩვენი დამარცხებები ფრონტზე აგრეთვე ხელოვნურია. ბუნებრივი ფაქტორებიც არსებობს, რასაკვირველია ჩვენი არაორგანიზებულობის, უპასუხისმგებლობის, არაკომპეტენტურობის, კორუფციის სახით, მაგრამ ისეთი წარუმატებლობისთვის, რაც რამდენჯერმე ვნახეთ, ეს ფაქტორები არ კმარა. მესამე: ხელოვნურია შეიარაღებული ძალების ალჭურვის ცუდი მდგომარეობა. (ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ). დასასრულ, მეოთხე: ხელოვნურია ის ქაოსი და განუკითხაობა, რომელიც ქუჩაში სუფევს. მიზანი ნათელია: რიგით მოქალაქეს უნდა ათქმევინონ: დაე, თბილისის ქუჩაში წესრიგი თუნდაც რუსის ჯარმა დაიცვას, ოღონდ წესრიგი იყოს. საქართველო გაჟღენთილია ღალატით. დიახ, გაჟღენთილია ღალატით, რადგან ჩვენი ადმინისტრაციული სტრუქტურების, ჩვენი საზოგადოების ყველა უჯრედში გამჯდარია. ჩვენი პირველი ნომერი მოწინააღმდეგის აგენტურა, რომლის შექმნა იმპერიის ხელისუფლების პირველი საზრუნავი იყო და დღესაც არის. მე ვერ ვიტყვი, ეს ღალატი ვისგან ხდება — პეტრესგან, პავლესგან თუ ივანესგან. მაგრამ იგი რომ ხდება, ნათელია. და იგი რომ ხდება, ეს ხელისუფლების, როგორც ასეთის, ხარვეზია, მისი მუშაობის ფუნდამენტური ნაკლია.

კიდევ რა ნაკლი აქვს? ყველაზე დიდს დაგისახელებთ, რომელიც სხვა არაფრის ბრალი არ არის „მტრის სახე" და „მტრის სახის შექმნა" რას ჰქვია ვიცით. აი, ამ მტრის როლში დღევანდელ ნახევრად-ოფიციალურ „იდეოლოგიაში" (თუ შეიძლება აქ ეს სიტყვა ვიხმაროთ) ჩვენი ნამდვილი მტერი კი არ არის, ვისაც ორივე ხელი ჩვენს სისხლში აქვს ამოვლებული, ანუ რუსი კი არ არის, არამედ — „ზვიადისტი". ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. მინდა დავაკონკრეტო: ის, რომ ე. წ. „ზვიადისტებს" თავს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან მებრძოლ ადამიანებად აცხადებენ (ან აცხადებდნენ) ჩვენთვის დიდი ზარალია, რადგან ამით ისინი ქმნიან აზრას, რომლის უკანაც ჩვენი ნამდვილი მტერი, რეალური ძალის მქონე მტერი დგას და დივერსიებს ახდენს. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ამ „ზვიადისტის" უკან ის რეალურად მოქმედი მტერი ვერ დავინახოთ...

**— თქვენ ალბათ ისევ რუსეთის აგენტურა გაქვთ მხედველობაში?**

— დიახ.

**— ბოლო კითხვა: რაში ხედავთ საკუთრივ პოლიტიკურ გამოსავალს?**

— მე ასე ვმსჯელობ, არსებულმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ — პირობითად ვთქვათ: შევარდნაძემ და მისმა გუნდმა — ჩვენი ამოცანების სამი კლასიდან ორი არადამაკმაყოფილებლად გადაჭრა. ერთი: ჩავარდა საშინაო პოლიტიკა, ეკონომიკის ჩათვლით. მეორე: ჩვენთვის ცუდად წარიმართა რუსეთთან ურთიერთობა. კარგად წარიმართა მხოლოდ ერთი: საგარეო პოლიტიკა რუსეთთან ურთიერთობის გარდა. მაშასადამე, ჩვენ გვჭირდება ახალი მინისტრთა საბჭო, რომელსაც შეეძლება აწარმოოს მტკიცე პოლიტიკა და სახელმწიფოს მეთაურისგან დამოუკიდებლად იკისროს პასუხისმგებლობა პარლამენტის და ერის წინაშე. ეს არ ნიშნავს ორ ხელისუფლებიანობას, ვინაიდან სახელმწიფოს მეთაურს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გადაყენების უფლება აქვს. ამასთან ერთად, აუცილებელია პარლამენტის ახალი არჩევნების დანიშვნა. მთავრობა უნდა იყოს კოალიციური, მაგრამ არა იმ აზრით, რომ ეს იქნება პარლამენტის მონაწილე პარტიების კოალიცია, არამედ იმ აზრით, რომ ეს იქნება ხელისუფლებაში მთავრობის (პარლამენტის ჩათვლით) და ხელისუფლებაში არმყოფების კოალიცია.

ესაუბრა
სერგო ჯანაშია

---

რომან გოცირიძე:

# მე ვიტყვი ჩემს სათქმელ

(დასასრული)

ამასთან, ისიც აჩვენა, რომ არ შეიძლება მთავრობაში იმ ადამიანების ყოფნა, რომლებსაც არ გააჩნიათ საზოგადოების პოლიტიკური ცოდნის, მართვის და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების დანახვის უნარი, მთავრობა, — ეს არის აღმასრულებელი ხელისუფლება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის ზოგადი პოლიტიკის გატარება, როგორც პოლიტიკის, ისე ეკონომიკის სფეროში. მიუხედავად ამისა ასეთი სტიქიური შეცვლა ძალიან დიდი შეცდომა იყო, ჩვენ არა ვართ მომზადებულნი, არ არსებობს არავითარი შეთანხმება. მთავრობა უნდა იყოს კოალიციური, თუმცა იგი მაშინ შეიძლება იყოს ასეთი, როცა არსებობს გარკვეული წინა პირობები, უპირველესად, ძლიერი პარტიები. დღეს ასე არ არის, ჩვენ გვაქვს ადამიანების, კონკრეტული პიროვნებების ირგვლივ გაერთიანებული ჯგუფები, რომლებსაც ვერც მათი რაოდენობრივი შემადგენლობით და ვერც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ფორმით პარტიებს ვერ ვუწოდებთ. ამიტომ კოალიციური მთავრობა არ იქნება, იქნება პორთფელების შეთანხმებით განაწილება საზოგადოების გავლენიან ძალებს შორის, მაგრამ ეს განაწილებაც რთულია, იმდენად ეკლექტურია შეხედულებები, განსხვავებული აზრები პოლიტიკის, ეკონომიკის, თუნდაც რუსეთთან მიმართებაში. ერთი სიტყვით, არის დიდი სიჭრელე, და რაც ყველაზე სავალალოა, სუფევს ეკონომიკური უცოდინარობა. ამ ფონზე ბუნებრივია, ძალზე სუსტი იქნება მომავალი კაბინეტის სამეურნეო ქმედითუნარიანობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ქვეყნისათვის ურთულეს ამ პერიოდს, სამწუხაროდ, მოუმზადებელი შევეგებეთ, რაც ვერ მოგვიტანს ვერაფერ სასიკეთოს.

**— ბატონო რომან, თქვენ ეკონომიკური რეფორმების შტაბის ხელმძღვანელი იყავით და რამდენი პროცენტით შესძელით თქვენი გეგმების რეალიზაცია?**

— მე ვიტყოდი, რომ 25—30 პროცენტით. ამავე დროს ისიც მინდა ვთქვა, რომ საქართველო და მისი ეკონომიკა არ არის ის, რაც იყო ორი წლის წინათ. ამ ხნის მანძილზე ქვეყანაში დაიწყო შეუქცევადი პროცესები, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციას. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა პირობებში მიმდინარეობდა ეს ცვლილებები. ეკონომიკა ხომ არ განიხილება, ან უფრო სწორად, ვერ განვიხილავთ როგორც ცალკეულ პროცესს, მოწყვეტილს ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროცესებისაგან. მე მხედველობაში მაქვს დაძაბული საგარეო ურთიერთობანი, ომი, ბლოკადა, ეთნიკური დაპირისპირებანი და სხვა, თქვენთვის ცნობილი მოვლენები. და მაინც ვთვლი, რომ ამ ეტაპზე მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა, ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო — იმაზე, რაც ამ მოკლე პერიოდში მოხდა, იტყვის ისტორია.

**— დღეს ბევრი ლაპარაკია საგანგებო მდგომარეობაზე, როგორ აისახება იგი ჩვენს ცხოვრებაზე ეკონომიკური თვალსაზრისით.**

— საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში მე მესმის, როგორც წესრიგის დამყარება, სამართლებრივი ვაკუუმის შევსება, იარაღიანი კაცის პრობლემის გადაჭრა. მოკლედ, ქვეყანაში ნორმალური სამართლებრივი მდგომარეობის დამყარებას. რაც შეეხება ეკონომიკას, თუ სახელმწიფო შეეცდება ძველი დირექტიული იდეების აღდგენას, ეს შეუძლებელია. საქართველო გამოვიდა ერთი დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური სივრციდან, რომელსაც ერქვა სოციალისტური ბანაკი. დღეს ჩვენი ქვეყანაც და დანარჩენი თოთხმეტნიც ერთად მიექანებიან ცივილიზაციის კალაპოტისაკენ, საქართველო სატელიტია ამ სიერცისა. გნებავთ ასეთი შედარებაც

მოვიყვანოთ — მატარებლის
მეტი ვაგონი ერთად მიჰქრის,
ლიმე მათგანის დამუხრუჭება გა
ვევს მის დაღუპვას. ჩვენს ამ მოძრ
განსაზღვრავს მსოფლიოს განვი
ბის კანონზომიერება. ისინი გამო
ლია იმ ბიძგებისაგან, რაც ამ ბ
მიიღო პოლიტიკური და ფინან
ინექციების სახით. მხედველობაში
დიდი შვიდეული და სხვა საბ
ფოები. ამ ბუნებრივი მოძრაო
ამოვარდნის მცდელობაც კი
თვეში ყველაფერს დაანგრევს
იქნება ადმინისტრირების უ
მცდელობა. ჩვენ წესრიგის დამ
უნდა დავიწყოთ იმ გაგებით, რო
მაქსიმალურად შეუწყოს ხელ
საერთო კანონზომიერი მოძრაობ
ჩქარებას, ლიბერალური საბაზრო
ნომიკის დამყარება-განმტკიცებ.

**— თქვენი აზრით, ბატ
რომან, ვინ დარჩება კაბინ
ძველი შემადგენლობიდან ახა**

— მე ამაზე ახლა არ
ვილაპარაკო, როდესაც დ
დრო, მე შევეცდები ვთქვა
სიტყვა იმისათვის რომ არ გა
რდეს შეცდომები, არ დარჩნ
ლისუფლებაში ის ადამიანები,
მელნიც მე, როგორც ვიცე-პრ
რმა ძალიან კარგად შევისწავლ
დარწმუნებული ვარ ისინი თა
მუშაობის სტილს ვერ გამოასწ
ბენ. შევეცდები მთავრობას გ
ვილო ფორმირება და თავიდან
ცილო შემთხვევითი ან საბ
ეკონომიკის დამკვიდრებისათვ
ლისშემშლელი პირები.

**— თქვენზე რომ იყოს
მოკიდებული პროცესების მ
ვა, შესძლებდით თუ არა ბო
მდე მიიყვანოთ თქვენი და
ბული საქმე და ხართ თუ
ის კაცი, რომელმაც უნდა
ყვანოს ეს საქმე ბოლომდე.
ასეთი რუსული ანდაზა „ცხე
გადასასვლელზე არ ცვლიან**

— თუ ქარავანი გააგრძე
გზას იმ მიმართულებით, სა
მიდიოდა, მაშინ მექარავნე არ
შეიცვალოს, მაგრამ თუ ქარა
უნდა შეიცვალოს გზა, მაშინ მ
თუ მექარავნეობის, არამედ ქ
რავანში ყოფნის არავითარი ს
ლი არ გამაჩნია. ადამიანს
ჰქონდეს დროის შეგრძნება.
გვამოძრავებს ისტორიული პრ
და თუ საჭე სწორად არ დავიჭ
ან მეჩეჩზე დავჯდებით ან დავ
რევით. ახლა რომც მოინდ
ვინმემ და საქართველო შემოა
ნოს, არაფერი გამოვა. უნდა
გოთ, რომ ჩვენ არ ვირჩევთ მ
თულებებს, ამას გვკარნახობს
დსაკაცობრიო პროცესები და
მხოლოდ უნდა ვიცოდეთ, რ
მოვმართოთ იალქნები. შეიძლებ
ლგაზრდა კაცისაგან ეს განცხ
პრეტენზიული იყოს, მაგრამ მ
ვიცი. ჩემი განვლილი ცხოვ
მონაწილეობა იმ ბობოქარ პრო
ბში, გამოცდილება, რაც მე შევ
მაძლევს იმის თქმის საშუალ
რომ მე ამ შეუქცევადი პროც
მართვისათვის მზად ვარ. მე ჩავ
იმ სამზარეულოში, რასაც მსოფ
ეკონომიკური ლაბორატორია
მე ვგრძნობ, რომ მაქვს ის ძალ
ინფორმაცია, რაც ამ მართვაში
მეხმარებოდა. დღეს ისეთი პრი
ული სტატიები იბეჭდება, ი
ანტიკუპონური განწყობილება,
მდინარე პოლიტიკური მიზნებ
აქცენტები გადააქვთ სხვაზე,
განტევების ვაცს, რომ მე ზ
ნათქვამი სიტყვებისა არ შემრცხ
უნდა აღვნიშნო, რომ ამ როლის
მე არ გამოვდგები. მოსახლ
განწყობილების მანიპულირება
ლება ერთხელ, ორჯერ, მაგრამ
გამუდმებით. სწორედ მოსახლე
ასეთი ზემოქმედებების ფონზე
თებ ასეთ განცხადებას — მე
ძლია საქართველოში ეკონომი
პროცესების მართვა, თუ მექნება
გუნდის შექმნის საშუალება, მე
შენება და არა მეხამრიდის რო
შესრულება — მე ეს უკვე გა

ესაუბ
მერაბ მაისურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამი ინფორმაცია ცხინვალიდან

## ვეხმაროთ ოსებს... ციხის აშენებაში

ᲕᲔᲜᲘ ახალდაბადებული რესპუბლიკისათვის საკუ- ციხე ძალზე დიდი ფუფუნება აღმოჩნდა" სტკივილით აღნიშნავს ცხინვალში გამომავალი ერთი ანტიქართული გაზეთის კორესპონდენტი. სიტყვებით ციხის მშენებლობით ახალი ცხოვრების ბა ცუდი ტონის მაჩვენებელი იქნებოდა, მაგრამ საჭიროებამ მოითხოვა, ქალაქის მამებმა მაინც ყვიტეს ამ მათთვის მეტად საშურ საქმეს ომდნენ. საჭიროება კი უაღრესად დიდი იყო, ან მკვეთრად გამწვავებულმა კრიმინოგენურმა აციამ ძალზე შეაწუხა, როგორც ხალხი ისე ისინი, თავისი აზრით დამოუკიდებელი ოსეთი უკვე ა და ახლა ტკბილი ცხოვრება სურს. იყო და შემთხვევები, როცა 30 ათასიანი ქალაქის ლეობა ერთ ღამეში მოკლულ 4—5 ადამიანს ტირის.

ადაწყვიტეს და დაიწყეს კიდეც. ერთ დიდ ჩინოსანს ყინით ხელში თვითონაც ულვრია ოფლი, სიმბო- ად რა თქმა უნდა, იდეური წინაპრის, ლენინის ვით. სამწუხაროდ, 150 პატიმარზე გათვალისწინე- , სახელმწიფოებრიობის დამადასტურებელი ამ ობის მშენებლობა ეკონომიკური სიდუხჭირისა გამო ებულა და სწორედ ეს გახლავთ განგაშის ატეხვის ი.

ომპეტენტური წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი უწყება ვინდებურად აგრძელებს ცხინვალში ოდესღაც მათ მდებარებაში მყოფი ორგანიზაცია — დაწესებუ- ბის დაფინანსებას.

ინადადება შემოგვაქვს საქართველო ციხის ბლობაშიც დაეხმაროს ოს ამხანაგებს, მითუმეტეს მალე ეს უწყება მეტად საჭირო გახდება დღეს ალში მცხოვრები ზოგიერთი ოსისათვის. რო- პრაქტიკამ დაგვანახა, ოსი ეროვნების დამნა- ბის თბილისელთათვის ნდობა მეტად სარისკო ა.

## „ტვინების დამუშავება" რუსულ-ოსურად

ᲘᲛ ტელეარხზე, რომელიც მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მცხოვრებთა „ტვინების გამორეცხვას" ეწევა, ძალზე ხშირი ყოფილა გადაცემები ე. წ. სამხრეთ ოსეთის შესახებ. რუსი ჟურნალისტები, რომლებიც არასოდეს არ ყოფილან დაავადებულნი დემოკრატიზმის, ინტერნაციონალიზმის და სხვა იზმების სენით, დიდ ყურადღებას იჩენენ იმ რეგიონის მიმართ, რომელსაც ჯერჯერობით ვერანაირ კარტოგრაფიულ გამოცემაზე ვერ ხედავენ . მათი მაყურებელები. ისინი სკრუპულოზური ხიზუსტით აღრიცხავენ, თუ რამდენი შეიარაღებული შეტაკება მოხდა ამ „რესპუბლიკაში" რამდენი კაცი მოკლეს, რომ სამართალდამცავი ორგანოების „პარა- ლიჩმა" გამოიწვია ცხინვალიდან მოსახლეობის მასობრივი დენადობა და რომ ამ ახალგამომცხვარ, უკაცრაული პასუხია, ქვეყანაში იზრდება სამოქალაქო ომის საშიშროება.

ოსები, რომლებსაც საკმაოდ სოლიდური დიასპორა ჰყავთ მოსკოვში და მჭიდრო ეკონომიკური ინფორმაცი- ული კავშირებიც გააჩნიათ მათთან, ძალზე უკმაყოფი- ლონი არიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, აღიარებენ — ის რასაც რუსი ჟურნალისტები გადასცემენ — სიმართლეა. (ჩვენ როდის გველირსება იმის თქმა, რომ რუსებმა ერთხელ მაინც სიმართლე სთქვან საქართვე- ლოზე) უკმაყოფილებას სხვა რამე იწვევს. ამ გადაცემებს ოსები „ტვინების დამუშავებას" უწოდებენ და საკუთარი დასკვნები გამოაქვთ. — როცა ერთ დღეს საქართველოს მხრიდან აგრესია დაიწყება, რუსი მაყურებელი შეგუე- ბული იქნება იმას, რომ სამხრეთ ოსეთში უწესრიგობა იყო, ადამიანთა უფლებები ირღვეოდა და სუვერენული საქართველოს ლიდერმა შევარდნაძემ მათი დაცვა ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა გადაწყვიტაო. „და მანამ მსოფლიო სიმართლეს გაიგებს ჩვენ დაგვხოცავენ" გულისტკივილით ასკვნის აღნიშნული ინფორმაციის ავტორი.

ადამიანთა უფლებები ამ რეგიონში დიდი ხანია ირღვევა, საქართველო როცა იქნება მოიკითხავს თავის კუთვნილ მიწას, მსოფლიომ იცის სიმართლე და თუ ვისმეს სული ეტკბილება, დროა უფრო საღად იაზროვნოს — რუს ჟურნალისტებს თავიანთი მიზნები აქვთ, ჩვენ ყველამ ჩვენ ბედზე ვიფიქროთ.

## ზოგი მიდის დროებით, ზოგი წავა სამუდამოდ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ რეგიონიდან კარგა ხანია, ომის ესკალაციის წინა პერიოდიდანვე დაიწყო და მიმდინა- რეობს ოსი მოსახლეობის მუდმივ საცხოვრებლად გასვლა რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში.

განსაკუთრებით დიდია იმ ადამიანების მიგრაციის დონე, ვისაც განათლებული ეთქმის ანუ ვისაც აქვს უნარი ხაღად შეაფასოს მოვლენები და არ წამოეგოს კულუმბეგოვ-ჩოჩიევის იდეოლოგიურ ანკესს. ამ ხალხმა შესძლო და გააცნობიერა, რომ ის რასაც ეს დღეილი და მათთან ერთად ზოგიერთი ვაიპატრიოტი ოსი აკეთებს დამღუპველია ოსებისათვის, როგორც ეთნო- სისათვის. ეს პროცესი თვითონ ოსური „რესპუბლიკის" ლიდერებსაც აწყობთ. ჯერ ერთი მცირდება უმუშევარ მოსამსახურეთა რიცხვი და ამდენად პოტენციურ უკმაყოფილოთა რაოდენობა, მეორე და უმთავრესი, მიდიან ისინი ვისაც აზროვნების უნარი აქვთ, რჩებიან ისინი, ვინც გონებით ბრმაა, ამდენად, მშვენიერი მასალა საზარბაზნე ხორცისათვის.

მაგალითად ცხინვალში პედაგოგების 70 პროცენტმა დასტოვა ეს ქალაქი და თავი რუსეთის პერიფერიებს შეაფარა, სადაც ადვილია სამსახურის შოვნა, დიდია ხელფასები.

წასულა 7 მუშაკი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, მიზეზი დაბალი ხელფასი, რისკის დიდი დონე, ცუდი შეიარაღება ბანდიტებთან საბრძოლველად. ეს უკანას- კნელი მიზეზი უფრო დასაჯერებელია.

„რესპუბლიკიდან" გასულა 21 ექიმიც. ამ რაოდე- ნობაში არ ითვლებიან ქართველი ექიმები, მილიცი- ლები, პედაგოგები. ჩვენ წასასვლელი ხალხი ვი[illegible] და ანგარიშში არავინ გვაგდებს. არავინ იცის წა[illegible] ოსთაგან რამდენი დაუბრუნდება ცხინვალს ომის [illegible] მაგრამ ისინი ვისი მიზეზითაც წავიდნენ, არ[illegible] რომ აქ არ გაჩერდება, ეს ფაქტია.

ასეთია ცხოვრების წესი — ზოგი მიდის დროებით, ზოგი წავა სამუდამოდ.

მოამზადა.
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

# ცხინვალიდან დეპორტირებულ ქართველთა ხსნის კომიტეტის მიმართვა

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ხანებში თის იმპერიის ოფიცია- პირთა მხრიდან გაძლიე- მოთხოვნა საქართველოს ტორიაზე ბოლშევიკების შეთითხნილი და საქართ- ს წინა ხელისუფლების სრულიად სამართლიანად ებული ოლქის აღდგენის ეპ. ამასთან ტერმინ ს" არც პრეზიდენტი ელ- არც მისი „დემოკრატი" ეო საქმეთა მინისტრი კო- ი, არც ვიცე-პრემიერი ი არ ხმარობენ, ლაპარა- ოლოდ სტატუსზე, ხოლო ოგორი უნდა იყოს ის, ეს ი შემდგომი შემოტევების ა.

ენდა სამწუხაროდ და სა- როდ საქართველოს ლოეთში ოსებისათვის, ნეების მანძილზე ჩვენი უკიდებლობის, სახელმ- ებრიობის წინააღმდეგ პე- ნტულად მებრძოლი ეთ- ათვის ოლქის აღდგენის ოვნა ტენდენციის ხასი- ლებს თვით ქართულ სა- დოებაშიც. ეს იმით მართ- ა, რომ სხვა გზა არ არის, ან რუსეთს ასე სურს და ან ასეთია მსოფლიოს დე- ატიული საზოგადოების ლი.

924 წელს საქართველოს ილში ექსტრემისტი მარ- ების — ბოლშევიკების მი- ქმნილმა ავტონომიურმა ა უდიდესი ზიანი მიაყენა, არტო საქართველოსათ- ეოპოლიტიკურად მნიშვ- ვან ამ კუთხეს, არამედ სრულიად საქა- რთველოს. თი- თქმის მთლია- ნად დაიცალა ქართველებისაგან დიდი და პა- ტარა ლიახვის ხეობები, ფრო- ნეს ხეობა. ახალგორის რაიონ- ში მათი წილი 50 პროცენტამდე შემცირდა, ასევე იყო ყორნისის რაიონში. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიმდება- რე საქართველოს სხვა რაიონე- ბში მკვეთრად იზრდებოდა ოსური (ირონულ-ირანული) მოსახლეობის რაოდენობა. 1989 წლის აღწერით გორის რაიონში ისინი მოსახლეობის 1/3-ს შეადგენდნენ, 1/4-ე მეტი იყო ქარელის რაიონში, ოდნავ ნაკლები კასპის რაიონში, არც თუ ცოტა მცხეთის რაიონში. თუ გავითვალისწინებთ რომ ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოს დედაქალაქის სამხრეთით და სამხრეთ-დასავ- ლეთით. გასაგები გახდება, რომ მიმდინარეობდა საქართველოს შუაზე გახლეჩისათვის ფარუ- ლი ბრძოლა, რასაც ქართველ- თა სიბრიყვემდე მისული გუ- ლუბრყვილობითაც ვუწყობთ ხელს. ხოლო ჩვენი მტრები ჯერ ინტერნაციონალიზმის, ახლა კი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოების წინაშე დაჩაგ- რულის გრიმასით სარგებლო- ბენ.

ცალკეული პირების გამო- თქმებს ოსური ავტონომიის სა- ჭიროებაზე, საქართველოს ფე- დერაციული მოწყობის აუცი- ლებლობაზე ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ არა მთლია- ნად სახელმწიფო პოლიტიკის კურსი. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ქართველი კა- ცი შეაგუონ ოსთათვის პრივი- ლეგიის მიცემის სარგებლიანო- ბას საქართველოს სახელმწი- ფოსათვის. მკვიდრდება ოსის, როგორც მეგობრის, ძმის სინდ- რომი, სწორედ ისეთი, რამაც დასავლეთში დამარცხებამდე მიიყვანა ქართველი კაცი. ამ დროს თვითონ ცხინვალში, ოსური სეპარატიზმის ბუდეში მიმდინარეობს მძვინვარე ანტი- ქართული კამპანია, რომელმაც უკვე მოახერხა და ოსის ეთნო- ფსიქიკაში ჩამოაყალიბა ქართ- ველის, როგორც ასეთის, გენე- ტიკური სიძულვილი.

ჩვენ, რეგიონში, განსაკუთ- რებით კი ცხინვალში მცხოვრე- ბმა ქართველებმა ჯერ კიდევ „მშვიდობიანობის" დროს ვიწვ- ნიეთ საკუთარ თავზე ეს ბოლ- შევიკურ-ჯაყოური ზიზღი ყო- ველივე ქართულისადმი. ამ გა- რემოში ჩვენ ცხინვალელმა ქა- რთველებმა 70 წლის მანძილზე ვუნახეთ საქართველოს ეს მიწა და დღეს საქართველოს ყველა თაობისა და იდეოლოგიური მოდიფიკაციის მთავრობების უგუნური პოლიტიკის წყალო- ბით აღმოვჩნდით ლტოლვილნი საკუთარი სამკვიდროდან, იმ მიწიდან, სადაც დაირწა 9 ძმა ხერხეულიძისა და ვანო მაჩაბ- ლის აკვანი. ღვთისა და ქართვე- ლი ერის წინაშე მთელი პასუ- ხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არასოდეს არ გვიღალატია ზო- გად ქართული ინტერესებისათ- ვის, არც სიტყვით, არც საქმით იოტისოდენა ჩრდილიც არ მიგ- ვიყენებია სამშობლოსათვის და დღესაც უპოვარნი, უქონელნი, ხიზანნი საკუთარ მიწაზე მზად ვართ ყველაფერი ავიტანოთ. მაგრამ არა ქართველის ღირსე- ბის შელახვა — მონობა. ჩვენ მზად ვართ საქართველოს სახე- ლმწიფოს ინტერესების გამო წავიდეთ კომპრომისზე, მაგრამ არა იმათ ხარჯზე, ვისთვისაც შენდება ეს სახელმწიფო — ჩვე- ნი შვილების ხარჯზე.

ჩვენ მივმართავთ სახელმ- წიფოს მეთაურს და ვიმედოვ- ნებთ იგი დუმილით არ აუვლის გვერდს ამ მიმართვას; ჩვენ მივ- მართავთ პარლამენტს, თუმცა ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან უკვე მოასწრო და ყოველგ- ვარი იმედები გადაუწურა ქარ- თველ ხალხს; ჩვენ მივმართავთ სრულიად საქართველოს, ქარ- თველ ხალხს, ქართულ საზო- გადოებას, იმათ ვისთვისაც ჩრდილოეთიდან ჩამოტანილი „იდეები" უფრო ძვირფასი არ არის, ვიდრე ქართული სიამა- ყე. მივმართავთ და მოვი- თხოვთ არ დაუშვან საქართვე- ლოსათვის დამღუპველი ნაბი- ჯის გადაგმა, არ დაუშვან სა- ქართველოსათვის, კავკასიი- სათვის სტრატეგიულად უმნი- შვნელოვანეს რეგიონში რუ- სეთის იმპერიის ფორპოსტის დამკვიდრება. ვერავითარი ინ- ტერნაციონალიზმი და დემოკ- რატია ვერ გადასწონის იმ ღა- ლატს, რასაც თქვენ ჩაიდენთ ერის, კავკასიელი ხალხების და თუნდაც იმავე მსოფლიოს წი- ნაშე, რომელიც იბრძვის რუსუ- ლი ექსპანსიონიზმის შეზღუდ- ვისათვის.

ახსოვდეს ყველას, ოსთა სტატუსის ნებისმიერი სახით დამკვიდრება იქნება ამ რეგიო- ნში პერმანენტული ომების კა- ტალიზატორი, რაც უბედურე- ბის მომტანია ორივე ხალხისა- თვის. ამას უნდა მიხვდეს ქარ- თული საზოგადოება, ირწმუ- ნოს ოსურმა დიასპორამ საქარ- თველოში და არ მივცეთ მტერს (რუსეთს) ჩვენი ურთიერთ ქლეტის გამუდმებული საშუა- ლება.

ჩვენ მოვითხოვთ იმ მიწაზე, რომელსაც ჰქვია შიდა ქართლი ანუ სამაჩაბლო, სავახტანგო, საამირეჯიბო, საფავლენიშვი- ლო, საერისთავო — მცხოვრე- ბი ყველა ადამიანი ღვთისა და კანონის წინაშე იყოს თანას- წორი, არავითარი პრივილე- გიები ეთნიკური ნიშნით. ეს არის ჩვენი ერთადერთი მო- თხოვნა ქართული საზოგა- დოების მიმართ და თუ ამ მო- თხოვნაზეც, რომელიც არაფ- რით ეწინააღმდეგება ცივილი- ზებულ ერებში მიღებული დე- მოკრატიული თანაარსებობის ნორმებს, უარს მივიღებთ, მა- შინ ქართულმა სახელმწი- ფომ, ქართულმა საზოგადოე- ბამ ოფიციალურად ზანგვიმა- რტოს, სად ვიცხოვროთ და როგორ?

# ხვალემ იკითხოს ხვალისა

მთიელ ხალხთა კონფედერაციის ლიდერთა ემისრებს არასოდეს შეუწყვეტიათ კავშირი ცხინვალის თვითმარქვია რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ვოიაჟები საგრძნობლად გახშირდა ამ ბოლო ხანებში. ეს ხალხი მშვენივრად პოულობს საერთო ენას და ეს მაშინ, როდესაც საკუთარი მიწიდანაა აყრილი ათასობით მუსულმანი ინგუში, ასეულობით მათგანი დახვრიტეს სოფელ ჯეირახში, განსაკუთრებით ქალები და ბავშვები, სწორედ იმათ ვისთანაც დღეს სტუმრობენ კონფედერატები, ცხინვალელ ოსთა ბატალიონის მებრძოლებმა. ოსების მიერ დაკავებულ საქართველოს ტერიტორიაზე დღესაც არიან ინგუშეთიდან წამოყვანილი ტყვეები.

ამ ფონზე ცოტა უცნაურადაც ჩანს ვლადიკავკასში ოსური პოლიტიკური ორგანიზაციის „სტრ ნიხასის“ (დიდი საბჭო) ლიდერების მკვეთრი განცხადებები. კერძოდ მათმა ხელმძღვანელმა პროფესორმა მ. გიოევმა განაცხადა, რომ ინგუშების დაბრუნება ომის ახალ კერებს გამოიწვევს ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ოსები ეწინააღმდეგებიან პრიგოროდნი რაიონის ფედერალური მოწყობის შემოღებასაც. ამ რაიონის სოფელ კამბილოვსკაიაში ამ ნიადაგზე მოხდა შეტაკება ოსებსა და რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმ „ვიტიაზს“ შორის, ხოლო რაისაბჭოს ალმასკომის თავმჯდომარემ ვინმე პეტრე ჯუსოევმა განაცხადა, რომ იგი თავის კონტროლს დაამყარებს რეგიონში, თუნდაც ამან შეიარაღებული შეტაკება გამოიწვიოს.

ამ ოდიოზური კონფედერაციის შემქმნელებმა კარგა ხანია გამოიმჟღავნეს თავი , თუ ვინ არიან, ვის ან რას ემსახურებიან. სამწუხარო და საუბედუროა ის, რომ ლაკმუსის როლი ისევ ჩვენმა ქართულმა სისხლმა შეასრულა აფხაზეთში. მოდით ამაში მარტო რუსული იმპერიის ინტრიგებს ნუ დავადანაშაულებთ, რომელიც თავისი გავლენის სფეროების შენარჩუნებისათვის არაფერს ერიდება და თაკილობს. ის რომ არცთუ ნორმალური ფსიქიკის მქონე სოსლანბეკოვ-შანიბოვებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში, თუმცა ლოკალური, მაგრამ მაინც ანტიქართული ისტერიის გაღვივების საშუალება მიეცა, ჩვენც მიგვიძღვის ბრალი და არა მარტო სახელგანთქმული ქართული უგერგილობით.

ერთი მხრივ კონფედერატები მხარში უდგანან სამხრეთელ ოსებს, რომელთა ხელები მარტო ქართველებისა კი არა მუსულმანი ინგუშების სისხლითაც არის გათხვრილი. მეორე მხრივ ისინი რელიგიურ გრძნობებზე თამაშით ახერხებენ აფხაზეთში ჩამოიყვანონ თავიანთი შეიარაღებული ფორმირებები იმ ხალხისა, რომელთა ცნობიერებაში საქართველო და ქართველები ყოველთვის იყო ის ძალა, რომელსაც მთელ კავკასიაში არა მარტო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, არამედ ყველა დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლაში მედროშის როლი ეკისრებოდა. ეს აზრი ვერც კავკასიის 25 წლიანი ომის დროს რუსულ მუნდირებში გამოწყობილი ქართველი გენერლების მონაწილეობამ წაშალა. თუ ორბელიანები და ჭავჭავაძეები ღუნიბსა და გიმრს უტევდნენ. ასეულობით ოსინე და ღვთისავარი თავიანთი კავკასიელი თანამოძმეების მხარდამხარ ებრძოდნენ რუსულ ხიშტს. და მრავალი სასახელო ფურცელი ჩასწერეს კავკასიის დამპყრობთაგან ყველაზე სასტიკთან ბრძოლის ისტორიაში. ჩრდილოეთკავკასიელთა გენეტიკური მეხსიერება ამ ბრძოლის პერიპეტიებს მტკიცედ ინახავს, ისევე როგორც იმის თუ რა სიველურით ექცეოდნენ მათ ევროპაში აღზრდილი,



ფრანგულად მოლაპარაკე რუსი ოფიცრები და მათი მუჟიკი სალდათები.

დღეს, როცა ამ დამპყრობელთან ბრძოლის ჟამმა ისევ დაჰკრა საქართველო, მიუხედავად იმავე მტრის მცდელობისა კვლავ რჩება იმიერკავკასიელთათვის იმ ქვეყნად, რომლის თავისუფლება მათი თავისუფლების ტოლფასია, ხოლო დაპყრობა, კვლავ მონობის და იქნებ სამუდამოსიც. იმპერია ერთსა და იმავე შეცდომას ორჯერ არასგზით არ დაუშვებს და თუ ახლა კავკასიელი ხალხები დავმარცხდით, მონობის ხის უღელს რკინისა შეცვლის, აპეურებად ეკლიან მავთულებს აგვიბავენ და ეკლიანივე სახრით გაგვდენიან. ნუთუ [illegible]ციან წლებში ჩვენს ტრაგედიაზე იოლად ხელდაბანილი დასავლეთის მაგალითი ასე მალე დავივიწყეთ. გაეროში შიგვიღებენო, დასავლეთი მხარში ამოგვიდგებაო და რაც ყველაზე საუბედუროა რუსეთი დემოკრატიული ხდება და გვეშველებაო. გაერო დიდი ფაქტორია, მაგრამ მე პირადად იმ დედაბერს მაგონებს ნათესავის სიკვდილი რომ შეატყობინეს (ჯვარი გვწერია) სატირალში ვერ წასულა თავისი სისუსტის გამო და საკუთარი ეზოს ჭიშკართან გამოსავსავებული ქვითქვითებს. ევროპა და ამერიკა სამოწყალოდ საქონლის საჭმელი ხორბლით გვამარაგებენ და ახალი პატარძალივით ხანდახან ბედავენ მრისხანე მამამთილს (რუსეთს) ახედონ. რაც შეეხება რუსეთის გადემოკრატებას მანამ პეტია ზნეს შეიცვლის, პეტრეს ძვალიც აღარ შერჩება, თორემ ტყავი დიდი ხანია გაგვაძრო. ყოფილიყო გაერო, ევროამერიკა, რუსეთის გადემოკრატებასაც დაველოდებოდით (მეორედ მოსვლამდე მოგვიწევს ლოდინი) რას უშლიდა ეს იმ ხალხთან საერთო ენის გამონახვის მცდელობას ვისთანაც ერთი ძუძუ გვიწოვია — კავკასიისა და ერთი ცა გვახურავს. ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა, ერი მეგობრებს კი არ უნდა კარგავდეს, დღისით სანთლით უნდა ეძებდეს. რატომ გავაიგივეთ სოსლანბეკოვ-შანიბოვ-ბასაევები მთელ ჩრდილოეთკავკასიელ ხალხებთან და ხელაღებით ვლანძღეთ ისინი პრესაში თუ ტელევიზიაში, რატომ ასე აგდებით ვიხსენიებდით იმ ხალხს, ვინც თუნდაც ამ კონკრეტულ ისტორიულ მომენტში შეიძლება იყოს ჩვენი მოკავშირე და უნდა იყოს კიდეც, რატომ დავასხით მტრის წისქვილზე წყალი, რომელმაც ბრწყინვალედ გამოიყენა ეს შეცდომა და ყველა საშუალებით გაუწია პროპაგანდა ჩვენს ანტიკავკასიურ ისტერიას. ან იქნებ ეს ყველაფერი ძალზე უბრალოდ ნამდვილ ქართულად აიხსნება. ისევ ერთი კაცის სიძულვილს გადავაყოლეთ ქვეყნის ინტერესები. გამსახურდიას ჩრდილოეთ კავკასიაში ყოფნამ გადასწონა საღი აზრი. ვის წამოსცდება, რომ ნებისმიერმა კავკასიელმა კარზე მომდგარ სტუმარს კარი უნდა მიუხუროს და დაითხოვოს. ჩვენი ბრძენი წინაპრები მოსისხლეს არ ერჩოდნენ სტუმრად მოსულს. ყოფილი პრეზიდენტის ლანძღვას (ეს ჩვენი შინაური საქმე იყო) მისი მასპინძლის დედ-მამის სულის წაღმაუკუღმა ტრიალიც მოსდევდა, მისი ხალხის აგდებული ხსენება, იმ ხალხისა ვინც დღეს-ხვალ მრისხანედ უნდა შეიმართოს ჩრდილოეთიდან მოსული დამპყრობლის წინააღმდეგ. რა ჩვენი საქმეა დუდაევი რუსეთის ავიაციის გენერალია თუ მექაში აღზრდილი ყადი, ჩვენ რა გელათისა და იყალთოს აკადემიებში განსწავლული ლიდერები მიგვიძღვიან წინ? ან ლენინის სურათი უკიდია კაბინეტში თუ კოხტა ბელადისა, დღეს მას და მის ხალხსაც, მთელ ჩრდილოეთ კავკასიელებს ჩვენი საქმისათვის ერთი აგურის შემატება შეუძლიათ. ხოლო ხვალემ იკითხოს ხვალისა. საინტერესოა ყველაფერი ეს როგორ ეტევა იმ ერის მორალში, რომელსაც წინაპართაგან ასეთი სიბრძნე აქვს დატოვებული: „ავი მეზობელი კარგ ნათესავს მირჩევნიაო“.

არავინ იძახის, რომ დასავლეთს ქვა მოვაგოროთ, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დღეებში იგი თითქოს გააქტიურდა. ისე ნურც ის ორიოდ ათეული დამკვირვებელი მოგვატყუებს აფხაზეთში რომ უნდა ჩამოვიდეს. იუგოსლავიაში ორმოცდაათზე მეტი მარტო სტრატეგიული დანიშნულების სამხედრო ტექნიკაა მიყრილი, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სერბებს აკეთონ ის რაც უნდათ რომ აკეთონ. მათი პოზიციების არც დაბომბვას დაადგა საშველი და არც ბლოკადამ გა-
მოიღო შედეგი. [illegible] იმ დ
ღეთის იმედი? მაგრამ [illegible],
გვერდით ვეძებთ საყრდენი, რო
ლიც ერთი დამატებითი ამოსუნთ
საშუალებას მოგვცემს. არადა
საყრდენი კი არა დედაბოძია
კავკასია, რუსეთის ყელში გაჩხერ
ძვალი, რომელსაც ვერც გადაყლა
და ვერც ამოახველებს —
დაიხრჩოს. ისიც უნდა ითქვას,
კონფედერატთა საბოლოო გამიჯ
დააჩქარებს იმიერკავკასიელ ხალ
ში ეროვნულ-განმათავისუფლებ
ბრძოლის დაწყებას. და ეს ყველ
რი დაგვიანებული არ არის,
ერთმანეთის მიმართ ისეთი ცო
არ ჩაგვიდენია საბოლოო მიზ
თავისუფლებას რაიმე საფრთხეს
უქმნიდეს. ჩვენ უნდა გავიდეთ
ხალხებზე, მოვუხმოთ მათი ინტე
გენციის იმ ნაწილს, რომლებიც
თბილისში აღიზარდნენ და იმ აუ
ტორიებში შეხვდნენ მათ, სა
მეცნიერების, ქართულ კულტუ
კავკასიური ერთობის შეგრძნ
ეზიარნენ. ძნელი დასაჯერებ
ტელევიზიას ჰქონდეს ან საშუალ
ან სურვილი მოამზადოს გადაცე
იმ ხალხების ენებზე, მაგრამ თ
სუფალი პრესა აქტიურად უ
ჩაებას ამ საქმეში. ეს სრულ
შესაძლებელია. ჩვენ დიდად მოვიგ
თუ თვეში ერთჯერ მაინც, საერ
ძალისხმევით ვაინახებისათვის, ჩერ
ზებისათვის, ყაბარდოელებისათ
ბალყარებისათვის, დაღესტნელებისა
ვის, იმავე, ადიღეელებისათვის
ბეჭდება გაზეთი და იქ იმ რეგიონ
გავრცელდება. ტექნიკურად ეს
არის რთული გადასაწყვეტი. თუ
დიდი ხელისშემშლელი ფაქტორ
არსებობს, ისევ და ისევ იმპერ
რომელსაც არასგზით არ აწყ
სიმართლის თქმა იქ სადაც თავ
ტყუილი გაჰყავს. ვუთხრათ ამ ხა
ხებს რა გვინდა ქართველებს აფ
ზებისაგან, საერთოდ რისთვის ვი
ძვით, რა გვინდა რუსეთისაგან, უფ
სწორედ რომ არაფერი გვინდა, კი
უფრო სწორედ კი მისი საბოლო
თავიდან მოცილება რომ გვინდა
ჩვენ ბევრს მოვიგებთ.

მე ვიცი გამოიძებნებიან ოპონ
ტები, მაგრამ არა მგონია მათ შო
აღმოჩნდეს თუნდაც ერთი, რომელ
იმის მტკიცებას შეუდგება მეგობ
ძიება საზარალოაო. ჩვენ კი საძებ
არავინ გვყავს, ის აქვე ყურის ძირ
და ჩვენს ხმას ელოდება.

მერაბ მაისურაძე

P.S. რუსმა ნაცისტებმა მოამ
დეს და 25 ათასიანი ტირაჟ
გაავრცელეს სააგიტაციო ფურცე
სათაურით „ინტერნაციონალიზმი ი
ოტების ბოლო თავშესაფარია“
ფურცელში, რომელიც „მოლოდ
გვარდიამ“ დასტამბა და ძირითად
მოსკოვში გავრცელდა არის ასე
სიტყვები: „Мы раздавим ползучу
гидру тюрк-кавказских "братье
როგორც იტყვიან, კომენტარები
მეტია, საჭიროა მოქმედება.

მეცნიერება

# მომავალ მეცნიერს სჭირდება ფილოსოფია

ქართული სამეცნიერო საზოგადოების ერთ ნაწილში გაჩნდა აზრი, რომ სამეცნიეროდ მომზადებისას (ასპირანტურის პერიოდში) არ არის საჭირო ფილოსოფიის კურსის გავლა, რის შესახებ დოკუმენტიც კი შეიქმნა. ასეთი აზრი მრავალ მიზეზთა შორის უპირველეს ყოვლისა განპირობებულია იმით, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში გაბატონებული ფილოსოფია — დიალექტიკური მატერიალიზმი კავშირის დაშლასთან ერთად ამოვარდა მეცნიერებათა სისტემიდან. დიალექტიკურმა მატერიალიზმმა დაჰკარგა სახელმწიფო დიქტატით განმტკიცებული უფლებამოსილება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ფილოსოფია ამოვარდა მეცნიერებათა სისტემიდან, და რომ ფილოსოფიის კურსის გავლა აღარ ესაჭიროება მომავალ მეცნიერს.

მომავალი მეცნიერისათვის ფილოსოფიის კურსის გავლის აუცილებლობა ჩვენს მიერ სამი ასპექტით არის წარმოდგენილი.

1. ფილოსოფია არის უზოგადეს ცნებათა სისტემა; ფილოსოფია არის ცნებებითა და კატეგორიებით დასაბუთებული ცოდნის სისტემა. ფილოსოფიის ცნებებს, კატეგორიებს ყველა მეცნიერება მოიხმარს, მაგრამ სპეციალურად იგი არც ერთის კვლევის ობიექტი არ არის, გარდა თვით ფილოსოფიისა. აი ზოგი მათგანიც: ყოფიერების, მიზეზის, შედეგის, მიზეზობრიობის, აუცილებლობის, შემთხვევითობის, შინაარსის, ფორმის, კანონის, ჭეშმარიტების და ა.შ. საკითხავია არის თუ არა სავალდებულო ამ ცნებათა ცოდნა მომავალი მეცნიერისათვის? მეცნიერებაში განუსაზღვრელ ცნებათა დაშვება გამორიცხულია. ცნება მხოლოდ განსაზღვრებით ადგენს თავის შინაარსს. ყოველივე ეს ფილოსოფიით გაიგება.

2. მომავალი მეცნიერი მართალია თავისი სპეციალობით სწავლობს, ეუფლება ამა თუ იმ მეცნიერებას, მაგრამ იგი ამავე დროს ვალდებულია იცოდეს, რა არის მეცნიერება, მეცნიერების ცნება, ეს კი მხოლოდ ფილოსოფიით, უფრო ზუსტად, მეცნიერების ფილოსოფიით გაიგება. მეცნიერების ფილოსოფიის უძირითადესი ამოცანაა მეცნიერების უზოგადესი კანონზომიერების კვლევა, რომელიც ყველა მეცნიერებისათვის საერთოა. ყოველივე ამის გამო მომავალი მეცნიერისათვის საჭირო და სავალდებულოცაა იცოდეს რა არის თვით მეცნიერების ცნება, როგორია მეცნიერების განვითარების კანონზომიერება, როგორი ცოდნაა მეცნიერული ცოდნა, საერთოდ რა განსხვავებაა ცოდნასა და მეცნიერულ ცოდნას შორის. ყოველივე ამის ცოდნა მიიღება მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერების ფილოსოფიით.

3. მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ინტენსიურად მიმდინარეობს ცალკეულ მეცნიერებათა ფილოსოფიური პრობლემების კვლევა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიზიკის ფილოსოფიის, მათემატიკის ფილოსოფიის, ისტორიის ფილოსოფიის, ენის ფილოსოფიის და ა.შ. კვლევა.

ა. აინშტაინის დებულება „ყოველი ფიზიკა არის მეტაფიზიკა“ (ფილოსოფია) ბრწყინვალედ დაადასტურეს საქვეყნოდ აღიარებული ფიზიკოსების შრომებმაც. ასეთ ვითარებათა ფონზე საქართველოში მომავალი მეცნიერისათვის ფილოსოფიის სწავლების გაუთვალისწინებლობა იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენში მეცნიერთა ერთ ნაწილში ფილოსოფიის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის დამოკიდებულების მნიშ-
ვნელობის გაგება, ცალკეუ
მეცნიერებათა პრობლემათა ც
დნა დაბალ დონეზე დგას.
მაშინ, როცა საუკუნის და
წყისში ქართული უნივერსიტ
ტი სიბრძნისმეტყველების ფაკ
ლტეტით დაარსდა, ხოლო პ
რველი ლექცია თბილისის უნ
ვერსიტეტში ივ.ჯავახიშვილ
წაიკითხა თემაზე „ადამიან
პიროვნება და მისი მნიშვნელ
ბა ქართულ საისტორიო-საფ
ლოსოფიო მწერლობაში
ცხოვრებაში“. აქ პირდაპირ
დასმული ისტორიის ფილოს
ფიისა და სამართლის ფილ
სოფიის საკითხები, რაც ცხად
ჩანს მის სხვა შრომებშიაც.

მომავალი მეცნიერისათ
ფილოსოფიის სწავლების გაუ
ვალისწინებლობა აზროვნებ
კრიზისის მაუწყებელია. ჩვე
წინაპრები: ივ.ბერიტაშვილი, კ.
კელიძე, ნ.მუსხელიშვილი, შ.ნ
ცუბიძე, დ.უზნაძე, ა.შანიძე, ივ.ჯ
ვახიშვილი აღნიშნულ ფაქ
შეურაცხყოფად მიიღებდნენ
არც არავის აპატიებდნენ.

ბორის ურიდია
პროფესორი

ინტერვიუ

# სამშობლოს ფარი და მახვილი

აღსრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება: თბილისში, ყოფილი უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის ბაზაზე დაარსდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემია.

მისაღები გამოცდები, საკმაოდ მაღალი კონკურსის პირობებში, მაღალორგანიზებულად ჩატარდა. დაიწყო ქართული სამხედრო ინტელიგენციის პირველი თაობის აღზრდის პროცესი.

აკადემიაში პროფესიულ სამხედრო კათედრებთან ერთად ჩამოყალიბდა სამოქალაქო კათედრებიც: პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის, ისტორიის, ფილოლოგიის, ფილოსოფიისა და ეკონომიკური მოძღვრებათა კათედრები.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი **ჯემალ ქასრაძე** შეხვდა და ესაუბრა სამხედრო აკადემიის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის გამგეს, დოცენტ **ზურაბ ცუცქირიძეს.**

**ჯ. ქ. ბატონო ზურაბ, თქვენ იმდენად აქტიურ სამეცნიერო-პრაქტიკულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდით სახალხო განათლების დარგში, რომ მართალი გითხრათ, გამიკვირდა საქმიანობის პროფილის ასე რადიკალურად შეცვლა. არსებითად, რომ განაპირობა თქვენი ეს გადაწყვეტილება?**

ზ. ც. ჩემი გადაწყვეტილება, ბატონო ჯემალ, რადიკალური არ გახლავთ. მე პედაგოგიკიდან არსად წავსულვარ. აღზრდის თვალსაზრისით კი, სამხედრო აკადემიის მსმენელი იგივე სტუდენტია, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ საფუძვლებზე აგებულ პროფესიას ეუფლება. იგი თავისი თანატოლი, სამოქალაქო სასწავლებლის სტუდენტისაგან იმით განსხვავდება, რომ სამხედრო ფორმა აცვია და სამხედრო დისციპლინას ემორჩილება. დისციპლინას, რომ ემორჩილება, ისეთ სტუდენტს დღეს ნებისმიერი სასწავლებლის პედაგოგი ნატრობს. სამხედრო ფორმის მიმართ კი მე ტრადიციულად მომდგამს სიყვარული და პატივისცემა.

**ჯ. ქ. ახალგაზრდობაში ოფიცრობაზე ხომ არ ფიქრობდით?**

ზ. ც. უფრო მეტზეც, მაგრამ ალბათ არ მეწერა სამხედრო სამსახური. ამასთან მე ოფიცრის ოჯახში გავიზარდე და ჩემი ბავშვობა მამაჩემის გამონაცვალ ტანსაცმელსა და ჩექმებში გავატარე.

ბავშვობის ოცნებას როგორმე შეველეოდი, მაგრამ რომ გავიგე ქართული სამხედრო აკადემიის ჩამოყალიბების ამბავი, გულმა არ მომითმინა. თოფით და ზარბაზნით კი არა, იქნებ კალმით და სიტყვით მაინც შევიტანო მცირედი წვლილი საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში. არმია ქვეყნის ფარი და მახვილია და ბედნიერი ვიქნები თუ მისი გამოჭედვისა და წრთობის საქმეს მცირედით მაინც წავადგები. სწორედ ეს იყო სამოქალაქო სასწავლებლიდან სამხედრო სასწავლებელში ჩემი წასვლის მიზეზი.

**ჯ. ქ. ბატონო ზურაბ, რამდენადაც ვიცი, მისაღებ გამოცდებზე მაღალი კონკურსი იყო ჩემი დაკვირვებით, დღემდე რაღაც არ იგრძნობოდა ქართველი ახალგაზრდობის დაინტერესება სამხედრო პროფესიებით. როგორც ჩანს, ახლა ტენდენცია შეცვლილა...**

ზ. ც. არა მგონია, აქ ტენდენციის შეცვლასთან გვქონდეს საქმე. ქართველებს ყოველთვის აინტერესებდათ სამხედრო საქმე და, მოგეხსენებათ, დიდ წარმატებებსაც აღწევდნენ. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ პრესტიჟის ერთობ მაღალი (ზოგჯერ გადაჭარბებული) მოთხოვნილება გვაქვს. ყოფილ საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად დაეცა სამხედრო პროფესიათა პრესტიჟი. მეტიც. სამხედრო საქმე ერთ-ერთ არაპრესტიჟულ პროფესიათა რიგში ჩადგა. ამან შეასუსტა ჩვენი ახალგაზრდების ლტოლვა სამხედრო საქმისადმი. იყო სხვა მიზეზებიც, სუბიექტური და ობიექტურიც, მაგალითად, რუსული ენის უცოდინარობა, რაც დამატებით სიძნელეებს ქმნიდა.

დღეს ზოგი მიზეზთაგანი მოიხსნა. რაც მთავარია, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად უკვე მოქმედებს დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეობის განცდის ფაქტორი. ეს ფაქტორი შემდგომში კიდევ უფრო გაძლიერდება, ამის საფუძველზე კი უთუოდ ამაღლდება მხედრულ პროფესიათა პრესტიჟი. ასეა ყველა ქვეყანაში. ამასთან ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ, კერძოდ, მხედრული პროფესიის რომანტიკული ელფერი. მე სამხედრო არა ვარ და დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რეალურად მართლა რომანტიკულია თუ არა სამხედროთა პრაქტიკული საქმიანობა. ამას არცა აქვს ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა. მნიშვნელოვანი ის არის, რომ მოზარდის ცნობიერებაში სამხედრო პროფესია მხედრულ მამაცობასთან ასოცირდება და აბა, რომელ ნორმალურ ჭაბუკს არ ხიბლავს გმირობის ჩადენის პერსპექტივა? პროფორიენტაციის თეორიაში ცნობილია, რომ პროფესიათა პრესტიჟის შკალაზე პირველი ადგილი რომანტიზმის ნისლში გახვეულ პროფესიებს უკავიათ, მოზარდისა და ჭაბუკის თვალში, ცხადია, რადგან ამ ასაკის ახალგაზრდების ფსიქიკაში რომანტიკულ განცხადებებს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ.

**ჯ. ქ. აკადემიაში ჩარიცხვის შემდეგ ხომ დაინახავს ახალგაზრდა, რომ ყველაფერი ერთობ პროზაულია და მიწიერი, უფრო მეტიც, მძიმე ახატანი. მაშინ რას იზამთ რომანტიზმით მოხიბლულ ჭაბუკს რითი დააინტერესებთ არარომანტიკულ სამყაროში. თქვენგან განსხვავებით, მე არმიაში ნამსახური ვარ და ვიცი „არმიული რომანტიზმის“ ფასი.**

ზ. ც. ჯერ ერთი, მე იმას არ ვამბობ, რომ ახალგაზრდა მარტო პროფესიის რომანტიკულმა განცდამ უნდა გამოიყვანოს სამხედრო აკადემიასა თუ სასწავლებელში, ეს მხოლოდ ერთი ფაქტორია — მეთქი. სამხედრო პროფესიის არჩევას სხვა უფრო არსებითი მოტივებიც განსაზღვრავენ. და მეორე, რატომ იქნება ჩვენთან სავსებით არარომანტიკული სამყარო? მარტო სამხედრო მუნდირთან დამოკიდებულების სწორ აღზრდასაც კი შეუძლია აკადემიის მსმენელის საცხოვრებო გარემო რომანტიკულად აქციოს. პედაგოგიკას, კერძოდ კი აღზრდის სისტემას აქვს მოსწავლის გარემოს მიზანმიმართული, რაციონალური ორგანიზაციის საშუალებანი. არის ბევრი სხვა ფაქტორიც, რომელთა პედაგოგიურად მიზანშეწონილი გამოყენება იმის პირობებს შექმნის, რომ აკადემიაში მოსულმა ჭაბუკმა იმედგაცრუება არ განიცადოს. ისე კი, მთლად შემთხვევით მოსული ან გზააბნეული ახალგაზრდა, ცხადია, ოფიცერი ვერ გახდება.

**ჯ. ქ. განთლების სისტემაში ცნობილია თქვენი ორიგინალური კონცეფციები საგანმანათლებლო საქმის ორგანიზაციის, შინაარსისა და მართვის თაობაზე. როდესაც სამხედრო აკადემიაში გადასვლა გადაწყვიტეთ ხომ არ გქონდათ ჩამოყალიბებული რაიმე ახლებური შეხედულება ოფიცერთა აღზრდის შესახებ?**

ზ.ც. თუ თქვენ ზოგად პედაგოგიურ ასპექტს გულისხმობთ და არა სპეციფიკურ-პროფესიულს, რა თქმა უნდა მქონდა. ვეცდები იგი კონცეფციის სახის ჩამოვაყალიბო და შევთავაზო ხელმძღვანელობას.

**ჯ.ქ. კარგა ხანია თქვენს საქმიანობას ვაკვირდები და ვიცი, რომ მრავალი წლის განმავლობაში სამოქალაქო განათლების ხელმძღვანელობასთან პერმანენტული დავა-კამათი გქონდათ, სწორედ კონცეფციურ მოსაზრებათა გამო. რამდენადაც ვიცი, ერთობ გიჭირდათ განათლების დარგის მესვეურთათვის ცალკეულ მოსაზრებათა დასაბუთება.**

ზ.ც. მე დასაბუთება არ მიჭირდა. მათ უჭირდათ გაგება.

**ჯ.ქ. რატომ?**

ზ.ც. არაკომპეტენტურობის გამო.

**ჯ. ქ. მეტისმეტად მკაცრად ხომ არ მსჯელობთ ამ შემთხვევაში?**

ზ. ც. არა. მკაცრად არ ვმსჯელობ. ამის უფლება არცა მაქვს. მე მხოლოდ საკუთარი თავის შეფასებისას შეიძლება ვიყო მკაცრი. აქ სხვა ამბავია. ჩვენი განათლების მესვეურები ცხადია, საერთოდ დიდად განათლებულნი, საქმიანობის ამა თუ იმ დარგში ერთობ კომპეტენტურებიც იყვნენ და არიან, მაგრამ პედაგოგიკასთან ბევრ მათგანს, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, ირიბი კავშირიც კი არ ჰქონია. მათი ბრალი როდი იყო განათლების დარგი, რომ ებარათ საპატრონოდ. ამიტომაც, პიროვნულად მათ არაფერს ვერჩი. ბევრ მათგანს გულწრფელად ეგონა, რომ თუ ოროსნებს შემდგომ კლასში ორიანების გამოსწორების გარეშე გადაიყვან, ეს ხელს შეუწყობს აღზრდის პროცესის ამაღლებას, თუ სასწავლო წელს რთვლობის დამთავრების შემდეგ დაიწყებ, ეს დიდად ჰუმანური აქტია, რადგან ცოდვაა ბავშვი, მაშინ წამოიყვანო ბებიაბაბუის სოფლიდან, როცა ის-ისაა მწიფდება ყურძენი, რომ მოსწავლის ფორმა კომუნისტების მოგონილია და პიროვნების უფლებებს არღვევს, რომ ფიზკულტურის გაკვეთილზე სამწყობრო სიარულის სწავლება მილიტარისტური იდეოლოგიის გამოხატულებაა და ა. შ.

**ჯ. ქ. თქვენ იმედი გაქვთ რომ სამხედრო სასწავლებლის მესვეურები პედაგოგიკურ იდეებს უკეთ გაიგებენ**

ზ. ც. აღზრდის სისტემის პრიმატი სამხედრო სასწავლებლებში ტრადიციულია. ამ სისტემაში აღზრდის სისტემატურობის აუცილებლობა იმდენად აშკარაა, პირდაპირ ხელისგულზე ძევს, რომ მის მნიშვნელობაზე მსჯელობა უხერხულიც კი არის. სხვა საქმეა, ამ სისტემის შინაარსი მთლიანად, არსებული სახით სადღეისოდ არის თუ არა დამაკმაყოფილებელი. ამაზე მსჯელობა აქ არა თუ შეიძლება, მოგვეთხოვება კიდეც.

მე მცირე ხანია რაც აქ ვარ და უნდა გითხრათ, რომ ნეტავი პედაგოგიკის მნიშვნელობა სამოქალაქო განათლების ყველა მესვეურს ისე ესმოდეს, როგორც აქ ესმით.

ერთ მომენტს დავასახელებ: მე არაერთგზის მქონია კამათი განათლების ჰუმანიზაციის პედაგოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით. ზოგიერთ „მესვეურს“ ვერა და ვერ გავაგებინე, რომ სწავლების პროცესის ჰუმანიზაცია არანაირად არ ნიშნავს ტექნოკრატიული განათლების წინააღმდეგ ბრძოლას. არც ამერიკის მაგალითმა გაჭრა და არც ინგლისისამ. ქართულ სამხედრო აკადემიაში ეს პრობლემა ზუსტად მსოფლიო სტანდარტების მიხედვით წყდება. პროფესიული ცოდნის დაუზარალებლად ღებულობს განათლების შინაარსი ჰუმანურ მიმართულებას, რაც იმის საწინდარი გახდება, რომ ჩვენში აღიზრდება ჭეშმარიტი სამხედრო ინტელიგენცია. დიახ, ინტელიგენცია, ამ სიტყვის არა სოციალური, არამედ ფილოსოფიური გაგებით.

**ჯ. ქ. იარაღიანი კაცის ინტელიგენტობა ცოტა ძნელი წარმოსადგენი კი არის...**

ზ. ც. რატომ განა ინტელიგენტი მაინდამაინც განიარაღებული უნდა წარმოვიდგინოთ

**ჯ. ქ. არა, მინდოდა მეთქვა, იარაღთან ურთიერთობა როდესაც კაცის პროფესიული საქმიანობაა-მეთქი.**

ზ. ც. მაგის მაგალითი ბევრია ჩვენშიც და სხვაგანაც. ჩვენი კულტურის ბევრი დიდი მოღვაწე სწორედ პროფესიონალი სამხედრო იყო. შორს რომ არ წავიდეთ, განა დავით გურამიშვილი და გრიგოლ ორბელიანი არ კმარა ერთხელ ავღნიშნე და ახლაც უნდა გავიმეორო: რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი უმშვენიერესი და უმნიშვნელოვანესი სარატოვის საოპერო თეატრი საკუთარი ხარჯებით ააგო და დააფუძნა ცნობილმა გენერალ-გუბერნატორმა, 1812—1813 წლების ომის გმირმა ფანჩულიძემ. მერე ლერმონტოვი, ტოლსტოი და ბევრი სხვაც გავიხსენოთ. XIX საუკუნის რუსეთსა და ევროპაში კულტურის ტონის მიმცემი სამხედრო ინტელიგენცია იყო. ისინი კარგ აღზრდას ღებულობდნენ, რაინდულ აღზრდას და ამიტომ. აბა ის რა ოფიცერი იყო, ვინც ზედმიწევნით კარგად არ იცოდა ცეკვა, მუსიკა, პოეზია, ჭადრაკი, არ ჰქონდა დახვეწილი მანერები და სიტყვა-პასუხი. მარტო სროლას კი არ ასწავლიდნენ, სახელმწიფოს მოქალაქეებად ზრდიდნენ პირველ ყოვლისა.

**ჯ. ქ. ისე გამოდის, რომ უპრობლემო სფეროში მისულხართ...**

ზ. ც. სულაც არ გამოდის ეგრე. პირიქით, პრობლემები ბევრი გვაქვს. ჩვენი კათედრის წინაშე დგას ახალი ორიგინალური სახელმძღვანელოების შედგენის, მეთოდიკური აპარატის შექმნის, აღზრდის ახალი სისტემის ჩამოყალიბების ამოცანები. ახალი სისტემის — მეთქი რომ ვამბობ, ვგულისხმობ იმას, რომ ბევრი რამ დასაძლევი იქნება ტრადიციული აღზრდის სისტემაში. ჩვენ ხომ თაობებს, მათ შორის სამხედროებსაც, კლასობრივ ღირებულებებზე ვზრდიდით. ახლა ორიენტაცია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე უნდა ავიღოთ და ეროვნულ ტრადიციებსაც დავუბრუნდეთ. ეს უბრალო საქმე არ არის. ამის დეკლარირება არ კმარა, მთელი აღზრდის შინაარსი ამ სულისკვეთებით უნდა გაჯერდეს.

**ჯ. ქ. ეროვნული ტრადიციები რომ ახსენეთ, რას გულისხმობთ ჩვენ ხომ სამხედრო ინტელიგენციის აღზრდის, — სისტემურ აღზრდას ვგულისხმობ, — ტრადიციული გამოცდილება არა გვაქვს. განა ქართული სამხედრო აკადემია პირველი უმაღლესი სამხედრო სკოლა არ არის მთელს ჩვენს ხანგრძლივ ისტორიაში**

ზ. ც. დიახ, პირველია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ საამისო ისტორიული ტრადიციები არა გვაქვს. საქართველო მუდამ იყო ცივილიზებული სამყაროს შემადგენელი ნაწილი და როგორც შეეძლო ისე ახორციელებდა საკაცობრიო გამოცდილებით მოპოვებული ცოდნის ბაზაზე აღმოცენებულ იდეებს. თუ რაიმეს პრაქტიკულად ხორცს ვერ ასხამდა, იდეებს მაინც ითავისებდა. ესეც ტრადიციაა. ამაზე მეტყველებენ ჩვენი სულიერი კულტურის ძეგლები, პირველ ყოვლისა ლიტერატურული ძეგლები. რაინდული აღზრდის კულტი იყო საქართველოში (რაინდულ აღზრდაში, კიდევ ვიმეორებ, სამხედრო ინტელიგენციის აღზრდას ვგულისხმობ) და რა ვუყოთ თუ სპეციალური სასწავლებლების ჩამოყალიბება ვერ შესძლეს ჩვენმა წინაპრებმა, ეს მათი დუხჭირი ყოფის ბრალი იყო. სამაგიეროდ ის კი კარგად იცოდნენ, რა როგორ უნდა გაკეთებულიყო. იცოდნენ იმიტომ, რომ საკაცობრიო კულ-

(გაგრძელება მე-8 გვ.)

(დასასრული)

# «მოიცათ, ჩამოვლენ ბიჭები და მერე ნახეთ!..»

ლობებმა ისე გაუტეხეს სახელი სამხედრო მოსამსახურეს, რომ დღეს ბევრი რიგითი მოქალაქე საკმაოდ ანტიპათიურადაა განწყობილი მათ მიმართ. ხოლო ის მეთოდი, როცა პირდაპირ ქუჩაშივე იჭერენ სამხედრო სამსახურისათვის ვარგის ახალგაზრდა მამაკაცებს, ჩვენ არ გამოგვადგება და ამ წესით სამხედრო სამსახურში წაყვანილი კაცი ვერც მებრძოლად იქცევა.

რა თქმა უნდა, მე იმისი თქმა სულაც არ მინდა, რომ ყველა დანაშაულის ჩამდენი ჯარისკაცია და სამხედრო მოსამსახურე და ისიც ვიცი, რომ ბევრი ბანდიტი და არაკაცი თავის შავ საქმეს ხშირად სამხედრო ფორმით სჩადის და ბევრი მათი დანაშაულიც ამის გამო სამხედრო მოსამსახურეებს ბრალდებათ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ვერც ბანდიტები ითარეშებენ თავისუფლად, როცა ჯარისკაცს ავტომატი ყაზარმაში ექნება და თვითონ კი სპეციალური ნებართვის გარეშე ვერ ივლის ქალაქში, ანუ როცა იქნება მტკიცე სამხედრო დისციპლინა და პოლიციას მიეცემა მთელი უფლება ქალაქში წესრიგის დამყარებისა.

პოლიციის ხსენებაზე გამახსენდა: ამ რამდენიმე დღის უკან დიდუბის მეტროსთან, წერეთლის პროსპექტზე. პოლიციის შეიარაღებული პიკეტი იდგა გზის ორივე მხარეს და გამვლელ მანქანებს აჩერებდნენ. გაგვაჩერეს ჩვენც. სანამ საბუთები გაგვისინჯეს, სანამ ეს, სანამ ის, ერთი ხუთი მანქანა მაინც დავითვალეთ სამხედრო ფორმიანი, შეიარაღებული პირებით სავსე, რომლებმაც მთელი სიჩქარით, ჩაგვიქროლეს და ჩაუგდიათ გზის გარდიგარდმო მდგომი შეიარაღებული პოლიციელები, რომლებიც ისეთი სახე მიიღეს, თითქოს არც შეუმჩნევიათ ეს მანქანები.

— თქვე კაი ხალხო — ვუთხარი ერთ-ერთ პოლიციელს, — ამ შეიარაღებულ ხალხს რატომ არ აჩერებთ, რა იცით, ეგება სულაც ბანდიტები იყვნენ სამხედრო ფორმაში გადაცმულები, მეთქი.

— რა ვქნათ, ძმაო, ეგენი ხელშეუხებელი ხალხია, თავს ზემოთ ძალა არ არისო, — მიპასუხა პოლიციელმა.

ერთი პერიოდი, მახსოვს, ქალაქში გამოჩნდნენ სამხედრო პოლიციის ფორმიანი ბიჭები და ქუჩებში პატრულირებას ეწეოდნენ. თავ[illegible] ვერ დავდებ თავს. თუ რამდენიმე [illegible] მათ



[illegible] წესრიგის დამყარება. [illegible] მოქალაქე ხედავს, რომ წესრიგზე, მის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, როცა ქუჩაში წესრიგის დამცველი დადის, მაშინ იგი თავს უსაფრთხოდ გრძნობს და საკუთარ თუ საზოგადო საქმესაც უფრო გულდანდობილად აკეთებს.

ჩვენი დროის ერთ-ერთი პარადოქსად და მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელ კურიოზად, ვფიქრობ, ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ასეთი გამწვავებული კრიმინოგენული ვითარების ფონზე რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დღემდე ვერ გადაწყვიტა, ჩავაბაროთ იარაღი თუ პირიქით, — ყველამ ერთად ავისხათ. არადა, ჩვენში იარაღის დაკანონება (რომლის მომხრენი არც ისე ცოტანი არიან) იმას ნიშნავს, რომ უფრო დაჩქარებული ტემპით გავექანებით სომალიზაციისაკენ და სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში (შესაძლოა, უფრო ადრეც) დავემსგავსებით ურთიერთმოქიშპე, სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებებით და მაფიოზური კლანებით დასახლებულ სომალის ან რომელიმე მის მსგავს ქვეყანას და ამისათვის ნოყიერ ნიადაგს იარაღთან ერთად ყოველ ჩვენგანში საკმაოზე მეტად მოჭარბებული ემოცია და ამბიციაც ქმნის.

ისევე, როგორც ყველა მედალს, ამ საკითხსაც აქვს მეორე მხარე. საქმე იმაშია, რომ საკანონმდებლო თუ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ჯარისკაცი სოციალურად და მატერიალურადაც დაცული იყოს, რომ მას სიგარეტი, სასმელი და სხვა, საარსებოდ აუცილებელი რამ სათხოვარი და ვიღაცისთვის ძალით წასართმევი არ გაუხდეს, იყოს თუნდაც მათთვის სპეციალური მაღაზია (მაღაზიები), სადაც თავის ფასში სიგარეტსაც მისცემენ, სასმელსაც, პურსაც და სხვა რაღაცეებსაც. თუ ეს შესაძლებელია, რომ, როგორც ამბობენ, პარლამენტის სასადილოში ყველაფერი იაფი ღირსო, რატომ არ შეიძლება იმ ბიჭებს, ვინც სისხლსა ღვრის და სამშობლოს იცავს, ასევე შეღავათიან ფასებში მივყიდოთ საქონელი.

მე მესმის იმ ჯარისკაცის ლოგიკა, რომელიც ომობს, სისხლს ღვრის, ათას გაჭირვებაშია და თბილისში თუ სხვაგან ჩასული, ნაცვლად იმისა, რომ მოვეფეროთ, კეთილი მოქცევით გული გავუხაროთ, ფიზიკური და სულიერი ტკივილები დავუამოთ, ბევრი ჩვენგანისაგან ნიჰილისტურ, გულგრილ, ზოგჯერ ცინიკურ დამოკიდებულებასაც კი აწყდება და აქედან გამომდინარე, გასაგებიცაა მისი ერთგვარი გაბოროტება — მე იქ სისხლს ვღვრი და ესენი კი აქ არხეინად დასეირნობენ და ზედაც არ მიყურებენო. ყოველივე ამის შედეგი კი, ბევრ შემთხვევაში, გახლავთ სწორედ ისეთი ფაქტები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

პრესაშიც, ტელევიზიაშიც არაერთხელ დაიწერა და ითქვა ე. წ. „ვიეტნამის სინდრომის" შესახებ, ანუ ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცების სოციალური, ყოფითი, მათი სულიერი პრობლემების მოგვარების შესახებ, იმ პრობლემებისა, რომელთა გადაჭრასა და გადაწყვეტასაც დიდი ძალისხმევა შეალია ისეთმა ქვეყანამაც კი, როგორიც ამერიკაა (ვიეტნამიდან დაბრუნებული მეომრების პრობლემები). რა თქმა უნდა, ამერიკის დონეზე ჩვენ ვერ შევძლებთ ამ საკითხების მოგვარებას, მაგრამ ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ დაჭრილ, ხეიბარ მეომრებს (და ისედაც, ომიდან ჩამოსულ სალ-სალამათ ჯარისკაცებს), ომში დაღუპულთა ოჯახებს, პურის ფული საძებნი არ გაუხდეთ და ელემენტარული საარსებო პირობები შევუქმნათ.

ამ საკითხების მოგვარება, დამეთანხმებით, მეტად საშური საქმეა და შეიძლება ითქვას, მისი გადადება ერთი დღითაც კი მტკივნეულად აისახება ქვეყნის ცხოვრების მაჯისცემაზე. ხელისუფლებამ, თუ მას შესწევს უნარი, რომ მართოს ქვეყანა, უნდა დაამყაროს წესრიგი ქვეყანაში, ალიკვეთოს ავტომატიან ადამიანთა პარპაში და საერთოდ, ნორმალური საცხოვრებელი და სამუშაო პირობები შეუქმნას ხალხს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალზე სავალალო პერსპექტივა გვიჩანს, რომლის სიმპტომებიც დღეს სახეზეა და რომელზეც ინფორმაციის ოფიციალური საშუალებები დუმილს ამჯობინებენ. კერძოდ, ლაპარაკია იმაზე, რომ დღითი დღე სულ უფრო მეტი და მეტი ქართველი, ვისაც შესწევს უნარი და აქვს საამისო შესაძლებლობა, მიდის საქართველოდან, მიდის „ახლო საზღვარგარეთ" ან უცხოეთში, მიდიან იმიტომ, რომ აქ პატიოსან ბიზნესს ვერ გააკეთებ, შენს ნიჭს ვერ გამოიყენებ და განწირული ხარ შიმშილისათვის (არა მხოლოდ ფიზიკური, სულიერი შიმშილისათვისაც). მალე, ალბათ, გერგილიანი, ნიჭიერი, პატიოსანი ადამიანებისაგან დაიცლება საქართველო.

და კიდევ ერთი, ფრიად სავალალო და მე ვიტყოდი, დამაფიქრებელი ტენდენციაც შეიმჩნევა უკვე: ამ უწესრიგობით, ქაოსით, ამდენი შეიარაღებული ფორმირებებით, გაუთავებელი სროლებით და ყაჩაღობებით დაშინებული და თავმობეზრებული ხალხის ერთი ნაწილი იმ დასკვნამდეც კი მიდის, რომ ჩვენ, ქართველებს ეტყობა, ვიღაც მესამე (გარე) ძალის ჯოხი უნდა გვქონდეს თავში დამიზნებული, რომ მისი გვეშინოდეს და წყნარად ვიყოთო.

მართალია, ხელისუფლებას უამრავი პრობლემები აქვს გადასაჭრელი და ერთი ხელის მოსმით ყველაფერი არ გადაწყდება, მაგრამ თუ წესრიგი არ დამყარდა, მერწმუნეთ, რომ არც სხვა პრობლემებს ეშველება რამე.

სერგო ჯანაშია.

— ინტერვიუ —

# თელავში სამი დანაშაულებრივი კლანი მოქმედებს

ცოტა არ იყოს გაგვიკვირდა, როცა გავიგეთ რომ, სულ ახლახან, სახალხო ფრონტის თელავის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე შეიცვალა. — ჩვენში გაკვირვების ეს გრძნობა უფრო იმან გამოიწვია, რომ ძველი თავმჯდომარე ბატონი ჯონი ჯოჯიეშვილი გამოირჩეოდა საქმის ღრმა ცოდნით, პრინციპულობით, ერთგულებითა და გასაოცარი გულისხმიერებით. ისიც კარგად გვახსოვდა, რომ 1988 წლის ნოემბრის აქციაზე, ადგილობრივმა პარტიულმა ხელისუფლებამ როცა თბილისისკენ მიმავალი სამანქანო გზები გადაკეტა, ბატონი ჯონი და მისი თანამზრახველები გომბორზე ფეხით გადმოვიდნენ. თუმცა შემდეგ თბილისიდან გამოგზავნილი მანქანები დახვდათ. ამ კაცის დიდ ორგანიზაციულ უნარზე მეტყველებს ისიც, რომ თელავის რეგიონალური სახალხო ფრონტი საქართველოში ერთ-ერთი პირველი ჩამოყალიბდა.

მხოლოდ თელავში ჩასულებმა გავიგეთ, რომ ბატონი ჯონი თავისი ნებით გადადგარიყო. (იგი თავის პარტიელებს საპატიო თავმჯდომარედ აურჩიათ) — ახლა ჩემზე უფრო ახალგაზრდებმა უნდა გასწიონ ჭაპანიო. რაკი ვეღარ გადაათქმევინეს, რაც ძალა იყო და ფრონტელებმა წინამძღოლობა ანდეს გამგეობის წევრს, გაზეთ „ბეგთარის" პასუხისმგებელ მდივანს **შოთა ქისტაურს**. სწორედ მასთან გთავაზობთ ინტერვიუს.

— საქმე ბევრი გვაქვს და ეს ბუნებრივიცაა, ჩვენს გარშემო ათასი უსამართლობა ხდება. ის ადამიანები, რომლებიც სიმართლეს ადგილობრივ ხელისუფლებაში ვერ პოულობენ, ჩვენთან მოდიან. ჩვენ კი რაც შეგვიძლია ვეხმარებით. ამა თუ იმ საქმეს თავიდან ვსწავლობთ. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი მართალია, თელავის გამგეობაში ვგზავნით. თუ ამანაც არ გასჭრა, უფრო მაღალ ინსტანციებს ვაწუხებთ.

— ბატონო შოთა, მიუხედავად იმისა რომ კახეთი შედარებით მშვიდ რეგიონად ითვლება, საერთო გაჭირვებას ვერც თქვენ გადაურჩით, მაგრამ გაჭირვებას, მოგეხსენებათ, ორი მხარე აქვს — შედარებით ბუნებრივი და ხელოვნური. ანუ ის, რასაც ამ ეტაპზე ვერ მოვერევით და ის რაც ჩვენი ბედოვლათობით, უნიათობით, დანაშაულებრივი ქმედებითაა გამოწვეული. ამ მხრივ როგორ აფასებთ თქვენს რაიონში შექმნილ მდგომარეობას

— პირველზე რა მოგახსენოთ, საყოველთაოა და ვითმენთ. რაც შეეხება მეორე მიზეზს, სამწუხაროდ, მან ჩვენს რაიონში საკმაოდ საშიშ მასშტაბებს მიაღწია. რაიონის გამგეობაში ხალხის კეთილდღეობაზე გარეგნულად, ნხვისი თვალის ასახვევადაც კი არ ზრუნავენ. მათი დევიზი ერთსახოვანია — რაც შეიძლება მეტი მოთალონ სახელმწიფო ქონებიდან და ამით ჯიბეები გაისქელონ.

დღეს თელავში სამი დანაშაულებრივი კლანი ბატონობს, რომელთაგან ერთ-ერთი საუკუნის ისტორიას ითვლის. მათი მიზანია, ვიმეორებ, ხელი მოითბონ. ნაკლებად აღარდებთ ის, რომ ნაწილი ქალაქის მაცხოვრებლებისა შიმშილობს.

— უფრო ხელშესახებ ფაქტებს ხომ არ დაგვისახელებთ

— იმაზე მეტი რა გითხრათ, რომ რაიონში პირველადი მოხმარების პროდუქტები: შაქარი, მარგარინი, მხოლოდ სამი თვის გაიცა. რაც შეეხება ბურღულეულს ერთხელ გამოჩნდა მაღაზიებში და ამის შემდეგ თვალი აღარ მოგვიკრავს, თუმცა მეზობელ ახმეტაში, დასახელებული ყველა პროდუქტი, დაუბრკოლებლად გაიცა.

— თქვენს რაიონს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია ღვინო-პროდუქტების წარმოებით. ნუთუ ეს არაა საკმარისი იმისათვის, რომ თქვენს გაჭირვებას სრულიად თუ არ უმკურნალებთ, სალბუნად მაინც დაედოს

— თქვენს შეკითხვაში დასმული საკითხი, ყველაზე მტკივნეულია ჩვენი რეგიონის მაცხოვრებლებისთვის. ღვინო — პროდუქტები დიდი რაოდენობით იყიდება და არავინ იცის, ეს შემოსავალი ვის ჯიბეს ავსებს. ამასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო დიდი პრობლემა ის გახლავთ, რომ არის საშიშროება, სულ რაღაც სამ წელიწადში, ვაზის კულტურა გადაშენდეს. ამის თვალსაჩინო ნიშნები აშკარაა — ვაზი გადაგვარდა, იმის გამო რომ აღარ იწამლება. თავიდან ამ პრობლემის გადაწყვეტას თითქოს კარგი პირი უჩანდა — ღვინის



სურათზე: შოთა ქისტაური (შუაში), გამგეობის წევრები დავით ბატიაშვილი (მაცხვნივ) და ხარება მარკოზაშვილი

ქარხნებმა გადაწყვიტეს რესპუბლიკის გარედან შემოეტანათ შხამ-ქიმიკატები და მოსახლეობისათვის დაერიგებინათ, მაგრამ ამას ხელი შეუშალა გლეხისა და ღვინის ქარხნების დირექტორების უნდობლობამ, სამწუხაროდ, იმის გამო რომ ვერ შეიმუშავეს ორივე მხრისთვის დამცავი — მექანიზმი. ეს ინიციატივა ჩაიშალა. აქ თავის სიტყვა უნდა ეთქვა გამგებელს, მაგრამ მან ამისათვის თითიც კი არ გაანძრია. ასევე არ შეწუხებულან ისინი, როდესაც საწვავის უქონლობის გამო ხორბლის მოსავალი ვერ აიღეს. ეს მაშინ, ვიმეორებ, როდესაც რაიონი ამდენ ღვინო-პროდუქტებს ყიდის. არ შემიძლია კიდევ ერთი სამარცხვინო ფაქტი არ აღვნიშნო. ჩვენს საავადმყოფოში აფხაზეთში დაჭრილი მებრძოლები მკურნალობენ. ისინი ვინც საქართველოს ერთიანობის დასაცავად თავი გადადო. მაგრამ ამ ადამიანების მიმართ რაიონის ხელმძღვანელობა ელემენტალურ ყურადღებას არ კი იჩენს, ცხადია, უპირველესად, მედიკამენტებს ვგულისხმობ.

— ფაქტების კონსტატაცია კარგია, მაგრამ სახალხო ფრონტი ყოველივე ჩამოთვლილის საწინააღმდეგოდ, რა ღონისძიებებს ახორციელებს

— საკორდინაციო საბჭომ მარტში მოაწყვეთ მიტინგი, მოთხოვნით გადამდგარიყო ადგილობრივი ხელისუფლება. ამ აქციას ბევრმა დაუჭირა მხარი, მაგრამ ჩვენ აქციისთვის პერმანენტული ხასიათი აღარ მიგვიცია აფხაზეთის ომის გამო.

არ მინდა ხალხის სახელით სპეკულაციად ჩამითვალოთ, მაგრამ ადრე თუ ჩვენი საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარეს ამომრჩეველთა 95 პროცენტი უჭერდა მხარს და დანარჩენი კი წინააღმდეგი იყო, დღეს პირიქითაა და ის 5 პროცენტიც იმიტომ უდგას გვერდით რომ დანაშაულებრივი საქმეებით არიან დაკავშირებულნი. თქვენს წინა შეკითხვაზე, თუ როგორ იბრძვის სახალხო ფრონტი ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, მე დამავიწყდა მეთქვა ისიც რომ ჩვენმა გაზეთმა „ბეგთარმა" არაერთი დანაშაულებრივი ფაქტი დააფიქსირა.

ამის გამო გაზეთის რედაქტორს, მზია შიჭიაშვილს, ადგილობრივი ხელისუფლების მომხრეები, შვილების სიკვდილითაც კი დაემუქრნენ.

— ბატონო შოთა, თქვენი პოზიცია ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მკვეთრია, და ეს იმდენად აშკარაა რომ ცოტა არ იყოს ეჭვსაც კი იწვევს უკვე იმიტომ რომ დღეს მთელ საქართველოს აქვს მსგავსი პრობლემები, ზოგს მეტი, ზოგს უფრო ნაკლები, და ყოველივეს ერთ კაცზე გადაბრალება სუბიექტურს ხომ არ ხდის თქვენს პოზიციას?

— ბატონო ჯემალ, მე მხოლოდ იმ ნაკლოვანებებზე გესაუბრეთ, რომელიც ხელისუფლებამ დაუშვა, და რომლის გამოსწორებაც შეიძლება. ამავე დროს, გამეორება რომ არ გამომსვლოდა, გვერდი ავუარე იმ უამრავ პრობლემებს, რომლებიც პარლამენტის წევრმა მერაბ მეტრეველმა ერთი თვის წინ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ინტერვიუში უფრო ვრცლად სთქვა. ბატონმა მერაბმა, თუ გახსოვთ, თელავის რეგიონში შექმნილი პრობლემების ავტორად ამ რეგიონის თავკაცი ხიდეშელი დაასახელა. დამიჯერეთ, ეს უბრალო დამთხვევა არ ყოფილა. ესეც რომ არ იყოს, მე მზად ვარ პასუხი ვაგო ყველა ჩემს ნათქვამ სიტყვაზე.

ესაუბრა
ჯემალ ქასრაძე

თბილისი-თელავი

# ბერიას დღიურები

ალან უილიამსი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 26

## ჩანაწერი მეორე:

მოსკოვი, 1949 წელი დეკემბერი.

ისე ვარ ძალაგამოლეული არყისა და შამპანურისაგან, როგორც რიყეზე ამოგდებული თევზი. მიუხედავად უამინდობისა და ეკონომიკური მდგომარეობისა, დღესასწაული მართლაც ულრესად საინტერესოდ წარიმართა.

პატრონმა თავიდანვე იზრუნა, რომ მისი სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი ახალ წლამდე გაგრძელებულიყო და ამიტომაც მლიქვნელობის ისტერიამ მოიცვა მთელი ქალაქი. ხალხი ოვაციით ხვდებოდა მისი სახელის ყოველ ხსენებას კინოსა თუ თეატრში. უკვე აღარც არავის გაუკვირდებოდა, მოხუცი მავზოლეუმის ტრიბუნაზე მეფის გვირგვინით რომ გამოჩენილიყო!

მისი დაბადების დღის აღსანიშნავი ვახშამი ჩემთვის, არამზადა ტრაიჩო კოსტოვის (ტრაიჩო კოსტოვი — ბულგარეთის ყოფილი ვიცე-პრემიერი, რომელიც ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იყო აღმოსავლეთ ევროპაში ომისშემდგომ საჩვენებელ პროცესებზე. ერთადერთი, რომელმაც ღია სასამართლო სხდომაზე უარი განაცხადა, თავი დამნაშავედ ეცნო. ჩამოახრჩვეს 1949 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავზე). ამბის გამო, მძიმედ წარიმართა. პატრონი თავიდანვე ცუდ გუნებაზე იყო. ამ ამბის გახსენებაზეც კი სახეზე სიწითლე უვლიდა, ნაყვავილარ შუბლზე ოფლის წვეთები უბრწყინავდა. იგი კანკალებდა, გეგონებოდა, ესესაა გული უღალატებსო. ტიტოს ისტორიის შემდეგ ასე აღელვებული არასოდეს მინახავს. ეს კი ალბათ რაღაცას ნიშნავდა!

და მაინც იგი ცოტათი დამშვიდდა, როცა გაიგო მოღალატე ამ დილით ჩამოახრჩვეს, მე კი ვეცადე დამემშვიდებინა იმით, რომ ბიჭებმა ჩემი მითითებით ისე ოსტატურად გამართეს მარყუჟი, რომ ბულგარელმა სიკვდილამდე თხუთმეტი წუთი იწვალა. მიუხედავად ამისა, მთელმა ამ ამბავმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა, რადგან იგი ჩრდილს აყენებდა ჩემს სამსახურს. (რა თქმა უნდა, მე გამოვკითხე ბიჭებს ყოველი დეტალი და მგონი, რომ კარგად წაიმუშავეს კ-ზე, მაგრამ როგორც ჩანს, მაინც საკმაოდ ვერ შეაფასეს იგი. ეს ჯიუტი ბულგარელი იყო არა რომელიმე რბილკანიანი ბურჟუაინტელიგენტი, არამედ, ფაშისტებისაგან ომის დროს კარგად გაწვრთნილი პიროვნება, რომელიც თავისი აგებულებით თუჯის სხმულს მოგაგონებდათ. ყოველი შემთხვევისათვის, მან მაინც გაუფუჭა პატრონს სადღესასწაულო ვახშამი. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ იგი ახალგათხრილი საფლავიდან დამცინოდა კიდეც).

მდიდრული ვახშამი გაიმართა კუნცევოში. ღორისა და ცხვრის ხორცი, იხვები და ხოხბები, ფრანგული საუკეთესო ღვინოები, ხილი გერმანიიდან, ნესვები ესპანეთიდან, ფორთოხალი და ანანასი სამხრეთ აფრიკიდან. პატრონმა რამდენჯერმე გაიხუმრა კიდეც ამის შესახებ.

დარბაზში სულის შემხუთველი სიცხე იდგა, მაგრამ არავის ჰქონდა უფლება საყელო გაეხსნა, არაფერს ვიტყვი პიჯაკის გახდაზე. — ამ ბოლო დროს მოხუცი მეტისმეტად მკაცრი გახდა ჩაცმის მიმართ.

საღამო მან ელეგიური განწყობილებით წარმართა. იძულებული გავხდით მოგვესმინა მისი დაუსრულებელი მოგონებანი. განსაკუთრებით იმ დასავლელ ლიდერებზე, ვისაც იგი შეხვედრია, თუმცა ყოველივე ეს არაერთხელ მოგვისმენია. ამ მოგონებების დროს იგი მთლიანად თავის ფიქრებში და აზრებში იყო ჩაძირული. მაგრამ არაფერი ეპარებოდა მხედველობის არედან.

იგი მოგვიყვა ერთ კანადელ მილიონერ ბივერბრუკზე, რომელიც ძალიან მოსწონდა. იგი ბრიტანელებმა ლორდად აღიარეს. ამ ტიპს ყველაზე დიდი ბურჟუაზიული გაზეთი აქვს დასავლეთში, იგი ძველი ბრიტანეთის იმპერიის თავგამოდებული მომხრეა. ეს ძალზე ახალისებდა პატრონს. მან გვითხრა, რომ თუმცა ბივერბრუკი ეშმაკი ყალთაბანდია, მაგრამ სულით იგი ანტისაბჭოელი არ არის. იგი იგონებდა, როგორ მხიარულობდნენ და ხუმრობდნენ. და ბოლოს ისიც დასძინა, ბივერბრუკისნაირ ადამიანს პოლიტბიუროშიც კი შევიყვანდიო.

ჩერჩილი ძალიან ჯიუტია, დაბადებით ანტისოციალისტი, რომელსაც ეშმაკობით სჯობნიდა. ასე, რომ იგი მაინც ვერ გახდება მისი მეგობარი. რუზველტი კი სუსტი გონების ინვალიდი იყო. ბურჟუაზიული კლასის ტიპი-



[illegible] მორადგეხელი. დე გოლი კი სძულდა. — ჯიუტი აყლაყუდა, რომელსაც თავისი თავი ერის სიბარიტების იდეებით აქვს გამოტენილი. ჭიქა ღვინოსაც კი არ დალევს, თუ არ დაყნოსა.

შემდეგ როცა ღვინომ გასჭრა და თავისი საქმე გააკეთა, პატრონმა მწვავე ხუმრობები დაიწყო — უპირველესად „ხოლოპ" ვოროშილოვს გაახსენა, თუ როგორ მიანდვეს გამარჯვების პარადის ხელმძღვანელობა მას შემდეგ, რაც 1941 წელს ჩაიდინა. საცოდავი შესახედი იყო ამ დროს ვოროშილოვი, რომელსაც ორდენებით ჩამწკრივებული მარშლის ბრწყინვალე მუნდირი ეცვა. იგი გაფითრდა და ნაცრისფერი დადო.

მერე კი უფრო დიდი საშინელება მოხდა. პატრონმა თავისი სამხედრო იდეების გამომზეურება დაიწყო. ტრაბახობდა, რომ სოციალიზმმა თავის უდიდეს წარმატებებს იარაღით მიაღწია. უნდა ვთქვა, რომ მისი თავდაჯერებულობა ძალიან შეირყა არა მარტო ტიტოს გამო, არამედ ბერლინის გამოც. იგი ოცნებობს როგორ გადაუხადოს მათ სამაგიერო. საუბედუროდ, დალევს თუ არა ორ ბოთლ ღვინოს, ეს საქმე ეიოლება. იმ საღამოს მომიბრუნდა თავისი მგლური ღიმილით და მითხრა: „მაშ, ასე, ჩემო კეთილო ჯალათო, როცა დაასრულებთ ტიტოს არამზადების ჩამოკიდებას, თუ შეიძლება ცოტა ხნით დამითმეთ თქვენი რამდენიმე კარგი ბომბი, რომ ჩვენი დასავლელი მეგობრები გავათავისუფლოთ!".

საუბედუროდ, იგი უბრალოდ არაფერს ლაპარაკობს. მე ხომ ძალიან კარგად ვიცნობ მას. არ არის გამორიცხული, რომ საღამოს ხუმრობა ბრძანებად არ მოგვიბრუნდეს. ის კი არა, მან „ჩვენი რუსი წინაპრების, პეტრე დიდისა და ივანე მრისხანეს ისტორიული გმირობის" სადღეგრძელოც კი შემოგვთავაზა, — გეგონებოდათ მოხუცი წმინდა სისხლის რუსი იყო.

მართალი გითხრა, ასეთი საუბრებისაგან ძარღვებში სისხლი მეყინება! ეს მარშლები და მათი თანაშემწეები ისეთი ბირმოთნეები არიან, რომ უფრო მუცელზე იხოხებენ, ვიდრე მის ყველაზე საშინელ იდეებს დააყენებენ ეჭვქვეშ. საშინელი სიმართლე კი იმაში გამოიხატება, მიუხედავად ბერლინისა და ბომბისა, იგი ძველებურად სერიოზულად არ უყურებს ბურჟუაზიულ ძალებს. იგი ფიქრობს, რომ ამერიკელები ძალიან უფრთხილდებიან თავს და ხელახლად ევროპის დასამარცხებლად მობილიზაციას არ გამოიცხადებენ, რომ ბრიტანელები საერთოდ უსუსურები გახდნენ. ჩვენი იტალიელი და ფრანგი ამხანაგები ისევე ძლიერნი არიან, როგორც ჩეხოსლოვაკელები. რაც შეეხება გერმანიას, ისე მკაცრად დაისაჯა, რომ აწი იგი ომში აღარც კი ჩაერევა.

ვცდილობ დავამტკიცო, რომ თუ ჩვენი სამხედრო ძალები მათზე ძლიერია, ბირთვული იარაღით ძალიან ჩამოვრჩებით მათ. პატრონი აცხადებს რომ ამერიკელები ისეთი მშიშრები არიან, ვერასოდეს გაბედავენ ბომბის რუსეთში ჩამოგდებას. (იაპონია კი სხვა საქმეა, — ყვითელი, არასრულფასოვანი რასაა. ამერიკელები კი სულით წმინდა რასისტები არიან).

ამ დროს მისი მგლური, მტაცებლური თვალი სწვდება ხმელთაშუა ზღვის სივრცეებს, ინგლისის თეთრ სანაპიროს, აფრიკის პალმების ხეივნებს, შესაძლებელია არაბეთის უდაბნოსა და ჰიმალაის თოვლსაც კი! ირგვლივ კი... იგი ჯერჯერობით ჭამს და თავის გიჟურ ფანტაზიებს ეთამაშება. ჩვენი ქვეყანა კი ცივი, გაყინული და ნახევრად მშიერია.

როცა ბოლოს და ბოლოს დღესასწაული დამთავრდა, ძალიან მომეწყინა. პოსკრებიშევი (ალექსანდრე პოსკრებიშევი — სტალინის პირადი მდივანი, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ავი პიროვნება სტალინის გარშემო მყოფთა შორის). და სომეხი (საუბარია ანასტას მიქოიანზე). როგორც ყოველთვის, ისე დაითვრნენ, რომ მათი ტუალეტში გათრევა მოგვიწია. თვითონ მეც ძლიერ მთვრალი ვიყავი და მესიამოვნა ავტომობილმა დიდი სიჩქარით რომ გამაქროლა ქალაქის ქუჩებში.

ვაანალიზებდი რა საღამოს შედეგებს, უნდა ვთქვა, რომ უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო. ჩვენს წრეში ხუმრობენ, რომ პატრონთან ყოფნისას საჯდომქვეშ ჩადებულ კვერცხსა და კეფაში დახლილ ტყვიას შორის არავითარი განსხვავება არ არის.

თარგმნა
შ. ჯიხვაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

---

— ფიქრები რაბათის ციხესთან —

# ნოსტალგია

ნელ-ნელა მიდიან საქართველოდან ებრაელები, უძველეს ქალაქ ახალციხესაც ტოვებენ. აქ, რაბათის ციხესთან, მყუდრო დაბლობზე ხომ ოდითგანვე თავისი კოხტა უბანი ჰქონდათ და თავს ისევე მშვიდად გრძნობდნენ, როგორც სრულიად საქართველოში. ქართველები და ებრაელები ერთად იზიარებდნენ ჭირსა და ლხინს, ძნელბედობის ჟამს ერთად აფარებდნენთავს რაბათის ციხეს. იქნებ ამიტომაც მდებარეობს მათი უბანი ციხის სიახლოვეს...

ეს უბანი ებრაული წესითა და ყაიდით ცხოვრობდა. ღორის ხსენება საერთოდ არ იყო, სხვა საკლავიც ხახამთან მიჰყავდათ, თავად ერიდებოდნენ სისხლს... ვაჭრობასაც მისდევდნენ, რომ იტყვიან, გაუჩენელს გააჩენდნენ, მეზობლებსა და ახლობლებს შემოირბენდნენ და ხელცარიელს არ გამოგვიშვებდნენ. შაბათობით, ტრადიციულად უქმე დღეს, სიცოცხლით სავსე ებრაელთა უბანში უჩვეულო სიჩუმე და ღმერთთან განმარტოების ჟამი დგებოდა. ხუთსაუკუნოვანი სინაგოგა ვერ იტევდა მრევლს. ყქ საუკუნეში ამ ადგილას არსებულ ძველ სალოცავზე ადგილობრივი ძვირფასი ბაზალტის ქვით ახალი სალოცავი აუგიათ, დიდია სინაგოგის ისტორიული მნიშვნელობა, რაზეც მოწმობს ამერიკელი თუ სხვა უცხოელი დიასპორის წარმომადგენლების მისით დაინტერესება. აქვე ახლოს დგას მეორე სალოცავიც, რაც ახალციხეში ოდითგანვე ებრაელთა მრავალრიცხოვან დიასპორაზე მოწმობს.

ახლა კი... აღთქმულ მიწას მიელტვიან, მიდიან, მიჰყვებათ ნოსტალგია და ცრემლი, სულსა და გულს კი აქ სტოვებენ. მათი გამგზავრება ჩვენი ცხოვრების გაუარესების ბრალიცაა — გაჭირდა მიმოსვლა, ჩაკვდა ვაჭრობა, გახშირდა ქურდობა — ყაჩაღობა. ფულის გამოძალვის გარდა აღნიშნულია ებრაელთა გატაცებისა და წამების ფაქტებიც. ყოველივე ამას ებრაელები წუთითაც არ აღიქვამენ როგორც ეროვნულობის ნიადაგზე დაპირისპირებას, მაგრამ ფაქტია, აქ უკვე ძალიან უჭირთ, მიუხედავად იმისა, რომ ოდითგანვე ქართველებთან მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა აკავშირებთ.

აქ ქვების სუნთქვა მესმის...

ებრაელთა სულიერი წინამძღვარი ბატონი იოსებ ლევიშვილი ორმოცი წელია ახალციხის სინაგოგას ხელმძღვანელობს. იგი ენათესავება ებრაელ საზოგადო მოღვაწეს ნისან ბაბალიკაშვილს, რომელიც სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია II-ის მეგობრად თვლიდა თავს. გარდაცვალების შემდეგ პატრიარქმა მის ხსოვნას ღირსეული პატივი მიაგო.

— მეც ნისანის პრინციპით ვხელმძღვანელობ, — მეუბნება ბატონი იოსები, — გახსოვთ რას ამბობდა რუსთაველი: „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო" — ესაა მთავარი. ჩვენი ხალხი, ძირითადად, მშვიდობიანი ბუნებისაა, ჩხუბი და უსიამოვნებანი მისთვის უცხოა. ქართველები სტუმართმოყვარეობით და მოსიყვარულე ბუნებით გამოირჩევით. ჩვენი შეხმატკბილებული თანაცხოვრება სწორედ ამ ხასიათებმა განაპირობა, მაგრამ, სამწუხაროდ, თუ საქართველოში კიდევ გაგრძელდება განუკითხაობა, ებრაელების მიგრაცია მოიმატებს.

**თქვენ თუ გიფიქრიათ სამშობლოში წასვლაზე?**

— როგორ არა, მაგრამ აქაურობა არ მეთმობა. ეს სახლი ჩემი ხელით ავაშენე, ყოველი ქვა მახსოვს, უფრო მეტს გეტყვით, ამ ქვების სუნთქვასაც კი ვგრძნობ. ჩემი ბევრი ახლობელი წავიდა ისრაელში და იქ ჩინებულად მოეწყო, ახალციხეში 1800 კომლიდან 75-ღა დავრჩით. მწერენ, ჩამოდიო, მაგრამ ამის გაკეთება ასე იოლი არ არის, რადგან ებრაელების ისრაელში წასვლა უდიდესი სულიერი კოლიზიების ფონზე ხდება. ახალციხის გარდა მესხეთ-ჯავახეთში შემორჩნენ, აბასთუმანში, ვარხანაში, დილვირში, ხერთვისში, ახალქალაქში, აწყურში, დვირში, ახალდაბაში და სხვაგან. ადგილობრივ ხელისუფლებას არ ვუჩივით, შეძლებისდაგვარად გვეხმარება საეკლესიო დღეობასთან დაკავშირებულ თუ სხვა პრობლემების მოსაგვარებლად.

ამას წინათ ახალციხის გამგებელი ნუგზარ ჯარკავაც გვეწვია. ბევრი ვისაუბრეთ. პრობლემებს რა დალევს. ახალციხესა და აწყურში ჩვენს მიერ შეგროვილი სახსრებით ებრაელების სასაფლაოებს შემოვლებულ ქვის გალავნებს ვილაც-ვილაცეები შლიან და მშენებლობებისათვის მიაქვთ, ადგილობრივმა სომხურმა მოსახლეობამ კი იმ ტერიტორიაზე ნაგვის დაყრა დაიწყო. ასეთ უგვანო კაცთა საქმე, ყველა ეროვნებისათვის სამარცხვინოა.

**ბატონო იოსებ, ებრაელთა წესსა და ყაიდაზე საუბრისას ძნელია ალებმიცემობის გამორიცხვა. თითქმის ჩა**ბის გახსნა ახლაც შესაძლებელია, მაგრამ ხსენებული მიზეზების გამო ყველა თავს იკავებს. ვაჭრობას გზა-შარა გაუმრუდდა, იგი თაღლითობის და სპეკულაციის საშუალებად იქცა.

ადრე მოგებაც ღვთისნიერად ნაწილდებოდა — მანეთზე ორი შაური მოდიოდა. ამაზე მეტი მოგება არამი იყო, თალმუდშიც სწორედ ასე გვაქვს ჩაწერილი.

... ამ საუბარში მოსაღამოვდა. მზე რაბათის ციხის ქონგურებზე დაშვებულიყო და ებრაელების უბანს ემშვიდობებოდა. სხივები ალმაცერად დასცქეროდნენ ჩალისფერი ბაზალტის კედლებს. ლოცულობ-



სურათზე: „ახალციხელი ებრაელები". ნახატი გიგო გაბაშვილისა, 1886 წ.

კდა ებრაელთა უბანში ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა რას არ იშოვიდი აქ...

ქურდობამ და ძალადობამ ვაჭრობის განვითარებაც შეაფერხა, საქონლის შემოტანა და მაღაზიებდნენ ებრაელები და იქნებ ღმერთს თავიანთი ორი სამშობლოს ძლიერებას და მშვიდობის სუფევას ავედრებდნენ...

გოგიტა მელიქიძე

# როდემდის?!

ბზიფის ხეობა ამ ომის დაწყებიდანვე იყო ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. საქართველოს ხელისუფლებას კი თითი თითზე არ დაუდია ამ ქართველებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონის დაცვისათვის. მდიდარი იყო ბზიფელი კაცი. საკუთარი მარჯვენით, გულმოდგინებით, მუყაითობით. ამ სიმდიდრის შექმნას იმანაც შეუწყო ხელი, რომ გაგრიდან მთელი რიგი საწარმოები რძის კომბინატი, ლუდის ქარხანა და სხვა ობიექტები სწორედ აქ იყო ატანილი, საკურორტო ქალაქის გამოთავისუფლების მიზნით. აქ შრომაც დამატებითი შემოსავალი იყო ქართველებისათვის. იქნებ ამ სიმდიდრემაც დაუბრმავა თვალები კორტოხებზე 5—6 კომლიან სოფლებში შეფენილ ჩვენს „ძმებს", რომლებიც განსაკუთრებული ბოროტებით შეესივნენ მათ ოჯახებს, როგორც კი ამის საშუალება მიეცათ. სიძულვილის მიზეზი ისიც იყო, რომ 1978 წლის კონფლიქტის დროს აქ მცხოვრებმა სვანებმა მკვეთრად გამოხატული ქართული პოზიცია დაიკავეს და რესპუბლიკის სუკის მაშინდელ პატრონს ინაურს დაუფარავად უთხრეს — თავი დაგვანებეთ და ამათ ჩვენ მოუვლითო. თავის დანებება კი ქართველებისათვის ბორკილების ახსნას ნიშნავდა, რაც არც მაშინ მოხდა და ახლაც იგივე მეორდება. ქართველი კაცი ისევ ათასგვარი მიზეზებით შეზღუდული ებრძვის ათასგვარი ხელშეწყობით გათავხედებულ, სიძულვილისაგან თვალებდაბრმავებულ აფსუას.

სოფელ ბზიფში 160 კომლი ცხოვრობდა, ქოჩკიანები, ხარძიანები, ხვიბლიანები, გულბანები, ხვისტანები, ბლუხუტაშვილები, ქალდანები, სამსიანები და შერვაშიძეები. დღეს, როგორც იქიდან აყრილი ხალხისაგან მოვისმინეთ სამად-სამი კომლილა დარჩა, რომელთაგან ერთს აფხაზი სიძე ჰყავს და იმან გადაარჩინა, მეორემ არაფრით დასთმო საკუთარი სახლი, და ერთიც შერვაშიძე, ბუნებრივია შერვაშიძეობის გამო. მათ ადგილას მათ მიერ აყვავებულ კარ-მიდამოში ჩვენი მეზობელი, მეგობარი, დემოკრატიული თურქეთიდან ჩამოსული ხაგუშები და აგრბები დაასახლეს.

რა შესაშური ოპერატიულობაა ჩვენი მტრებისა და რა საარაკო სიბრიყვე ჩვენი ხელისუფლებისა, რომელმაც აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, ლამის აღდგომის ტოლფასს დღესასწაულად გამოგვიცხადა. — თუ გინდათ, რომ ქართველმა ხალხმა დაივიწყოს სამი სექტემბრის, 14 მაისის შეთანხმებების დარღვევის მუხთლობა, უნდა დაიწყოს ლტოლვილთა დაბრუნება გაგრის ზონაში. ეს სიტყვები ბატონ შევარდნაძეს უთქვამს რუსეთის ოფიციალური წრეების წარმომადგენელთათვის და პარლამენტის სხდომაზე გაიმეორა, როცა მას ადლერის აეროპორტში უპატრონოდ დაყრილი ქართველების ბედი შეახსენეს. ნუთუ კი იმ შოიგუს, პასტუხოვის და საერთოდ რუსეთის ინტერესებში ქართველთა იქ დაბრუნება? არის კი ეს ხალხი და განსაკუთრებით არძინბა ის, ვისაც უნდა ვენდოთ? როცა ყოველი ასეთი ნდობა ჩვენი სისხლისა და ხორცის სიცოცხლედ გვიჯდება. ბზიფიდან ჩამოსულ ქართველთაგან ვერცერთმა ვერ შეძლო ჩვენთან საუბარი. დახვრიტეს, დაწვეს, უგზოუკვლოდ დაიკარგა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვები და გოდება, ამაზე მერე, როცა ეს ხალხი შოკიდან გამოვა, მაგრამ როდის გამოვა შოკიდან უსუსური ხელისუფლების მიერ იქ აღმოჩენილი საქართველო და როდის იტყვის თავის სათქმელს.

მერაბ მაისურაძე

# სამშობლოს ფარი და მახვილი

(დასასრული)

ტურას იყვნენ ნაზიარებნი.

რა ჩემი თქმა უნდა, მაგრამ გავიმეორებ, „ვეფხისტყაოსანში" მართლა ყველაფერი წერია. აბა ერთი გავიხსენოთ, როგორ ზრდიდნენ ტარიელს, როგორი აღზრდილია ავთანდილი, ფრიდონი. ისინი ხომ სამხედროები არიან. „რა ესმოდათ მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან", — ეს ავთანდილია რომ მღერის, უზარმაზარი სახელმწიფოს მთავარსარდალი. ავთანდილს ბავშვობაში ესტრადის ან საოპერო მომღერლად კი არ ზრდიდნენ, სარდლობისათვის ამზადებდნენ, მაგრამ რადგან სამხედრო მოღვაწე ყველა სათნოებით უნდა ყოფილიყო შემკული, ცხადია მუსიკასაც შეასწავლიდნენ.

ხომ გახსოვთ „თორნიკე ერისთავში" სამეფო სუფრაზე პოეტური პაექრობის სცენა! როგორ გამოიყურება აქ სარდალი ორბელიძე

ჯ. კ. დიდებულად!

ზ. ც. ჰო და, განა ყოველივე ეს არაფერს გვეუბნება სამხედრო ინტელიგენციის აღზრდის ქართულ ისტორიულ ტრადიციებზე

როცა ტრადიციებისადმი ერთგულებაზეა საუბარი, ზოგჯერ ისე ეჩვენებათ, რომ ტრადიციები თავისი პირვანდელი ფორმით უნდა აღვადგინოთ. ამგვარი დამოკიდებულება ხშირად სასაცილო შედეგამდე მიდის. ტრადიციაში, თუ ის კლასიკური ტრადიციაა, მთავარი და უკვდავია იდეა და არა მისი განხორციელების ფორმა. აი, მაგალითად, ჯავშანჟილეტსა და ჯაჭვის პერანგს ერთი და იგივე იდეა უძევს საფუძვლად, მაგრამ ერთი და იგივე სულაც არ არის. ამ კოჭლი შედარებისათვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ძალიან მინდოდა მაგალითი სამხედრო სფეროდან მომეყვანა.

**ჯ. კ. ბატონო ზურაბ, ვიცი, რომ თქვენ აღზრდის სისტემის საფუძვლად ზოგადკაცობრიული მორალის ნორმებს მიიჩნევთ, კერძოდ, „ათ მცნებას". სამხედროებთან ეს მორალი რაიმე ტრანსფორმაციას ხომ არ განიცდის, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე**

ზ. ც. მგონი მიგიხვდით, ბატონო ჯემალ! თქვენ მხედველობაში გაქვთ „არა კაც ჰკლა!"

ჯ. კ. სწორედ ეგ.

ზ. ც. არავითარი ტრანსფორმაცია არ არის, არც შეიძლება იყოს. საზოგადოება ერთიანი სოციალური ორგანიზმია და არ შეიძლება მის სხვადასხვა ფენას სხვადასხვა ზნეობრივი იდეალები ჰქონდეს. მეტიც, ამ თვალსაზრისით მთელი კაცობრიობაც ერთიანი ორგანიზმია. რაც შეეხება მცნებას „არა კაც ჰკლა", იგი პირველ ყოვლისა სწორედ შეიარაღებულმა კაცმა უნდა იწამოს, რადგან სწორედ მას აქვს ყველაზე მეტი შანსი „კაცის კვლისა". ომი და კაცის კვლა სხვადასხვა რამ არის. ეს სამხედრო ეთიკის ნორმებში კარგად არის გამიჯნული, ჩვენს ლიტერატურაში ხომ საამისოდ იდეალური მოდელებია მოცემული. „ალუდა ქეთელაური" გავიხსენოთ, გავიხსენოთ „სტუმარ-მასპინძელი", „თორნიკე ერისთავი""... რა დიდებულად არის გავლებული ზღვარი ბრძოლასა და მკვლელობას შორის!

მკვლელი ყოველთვის დამარცხებულია, მაღალზნეობრივი კაცი კი ბრძოლაშიც მუდამ გამარჯვებული რჩება. ამ იდეალებზე უნდა აღიზარდოს სამხედრო ინტელიგენტი და ძლიერიც მაშინ ვიქნებით.

**ჯ. კ. მადლობელი ვარ საუბრისათვის. გისურვებთ წარმატებას ამ დიდ ეროვნულ საქმეში. ღმერთმა ჰქნას, ქართული სამხედრო ინტელიგენციის ახალი თაობა ყოველმხრივ სანიმუშო ყოფილიყოს როგორც სამშობლოს ფარი და მახვილი.**

ზ. ც. ამინ!

# ზაზა დუმბაძე



კიდევ ერთი ღირსეული ვაჟკაცის, მამულისათვის გულანთებული ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე დაიფერფლა აფხაზეთის მიწაზე.

გულმა უმტყუნა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ მამულიშვილს, გომბორის ბატალიონის მეთაურს, პოლკოვნიკ ზაზა დუმბაძეს.

ზაზა დუმბაძემ ეროვნული მოძრაობის პირველი დღეებიდანვე თავის მხრებზე გადაიტანა ეროვნული არმიის მშენებლობის მთელი სიმძიმე, იგი თავის თანამოაზრეებთან ერთად დაუღალავად იღწვოდა იმისათვის, რომ საქართველოს ჰყოლოდა გაწვრთნილი, კარგად შეიარაღებული არმია. მისი ბატალიონი ყოველთვის გამოირჩეოდა მტკიცე დისციპლინით, მაღალი პროფესიონალიზმით, მინდობილი საქმისადმი ერთგულებით.

დაობლდა ზაზა დუმბაძის ოჯახი. დაობლდა მისი ხუთი შვილი, მაგრამ მისი ვაჟკაცური ცხოვრება, მისი ღვაწლი სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში ოქროს ასოებით ამოიტვიფრება ქართული ისტორიის ფურცლებზე და შთამომავლობა მადლიერებით მოიხსენიებს მის ამ ამაგს.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

საქართველოს სახალხო ფრონტი


მთავარი რედაქტორის მოადგილე
სერგო ჯანაშია

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ჯემალ კასრაძე
ვახტანგ კომახიძე
მერაბ მაისურაძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 80 კაპიკი